

პროექტი

დოკუმენტი მომზადებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუშაობის შედეგად.

სტრატეგიული გეგმის პროექტი ინფორმაციის სახით წარედგინა საქსტატის საბჭოს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის,
გარემოსა და სოფლის სტატისტიკის
სტრატეგიული გეგმა
2016-2020 წწ



2015 წლის 18 დეკემბერი

შემოკლებები და აბრევიატურები

BEC	ფართო ეკონომიკური კატეგორიები
CAPI	კომპიუტერის მეშვეობით ჩატარებული პერსონალური ინტერვიუ
CATI	კომპიუტერის მეშვეობით ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუ
EDGE	გაეროს მონაცემები გენდერული თანასწორობის შესახებ
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის
ESS	ევროპის სტატისტიკური სისტემა
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
GSBPM	ზოგადი სტატისტიკური ბიზნესპროცესის მოდელი
HS	საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა
IdCA	ქვეყნის დეტალური შეფასება
MCC	აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია
NASS	აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NORC	ჩიკაგოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი
NSDS	სტატისტიკის განვითარების ეროვნული სტრატეგია
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SITC	სტანდარტული საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაცია
SPAERS	სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმა
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
USDA	აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი

წინასიტყვაობა

ქვეყნის სტატისტიკური სისტემის ძირითად მიმართულებებსა და ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელ ყველა უწყებას შორის კოორდინაციის პრინციპებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. სტატისტიკური სისტემის ცენტრალურ ორგანოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს, რომელიც დამოუკიდებელ ორგანოდ 2010 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ძირითად წყაროს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა წარმოადგენს. ეს ყოველწლიური გამოკვლევა 2007 წლიდან ტარდება და მისი მეთოდოლოგია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დახმარებით შემუშავდა.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ გარემოსდაცვით სტატისტიკას ძირითადად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აწარმოებს. საქსტატსა და სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ ხელს უწყობს ორ უწყებას შორის მონაცემთა დროულ გაცვლასა და ეფექტიან კომუნიკაციას.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესების გლობალური სტრატეგია და, კონკრეტულად, სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმა (SPAERS) დაეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის ხარისხისა და დაფარვის არეალის გაუმჯობესებაში და მთავრობას ფაქტებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

ჩვენი აზრით, SPAERS დროული და სასარგებლო ინიციატივაა, რადგან 2016 წლიდან ვგეგმავთ სასოფლო მეურნეობათა შერჩევის განახლებას მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობის საყოველთაო აღწერისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს 2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია. საქსტატი ამზადებს სტატისტიკის განვითარების ახალ სტრატეგიას. გარდა ამისა, 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს სტატისტიკის ეროვნული სისტემის გაძლიერებასა და ევროპის სტატისტიკურ სისტემასთან (ESS) ეტაპობრივად დაახლოებას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ SPAERS-მა, ყველა ზემოჩამოთვლილ სტრატეგიულ დოკუმენტთან ერთად, განსაზღვროს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში არსებული ხარვეზები და საჭირო მონაცემები, და უზრუნველყოს მათი ჩართვა სამომავლო სამუშაო გეგმებში.

დიდი მადლობა FAO-ს გლობალური სტრატეგიის ინიციატივას და გამოვთქვამთ იმედს, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.



მერი დაუშვილი

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე



წინასიტყვაობა

სწრაფად მზარდი და დინამიკური სოფლის მეურნეობა და აგრობიზნესი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მისი ისტორიისა და კულტურული წარსულის ფონზე.

მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად გამოცხადდა, ამ სექტორის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. ახლახანს დამტკიცებული სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და რეფორმებისა და მიზნობრივი პროგრამების ფართო სპექტრი გრძელვადიან დაგეგმვასა და მონიტორინგს მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი.

2015-2020 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებებს სოფლის მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის, მელიორაციისა და ნიადაგების ნაყოფიერების, რეგიონული და დარგობრივი განვითარების, სურსათის უვნებლობის, სასურსათო უსაფრთხოების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის გაუმჯობესების კუთხით. ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიების განხორციელება წინასწარი ანალიზის ჩატარებას, მაღალი დონის დაგეგმვას, პოლიტიკის მიმართულებების შეჯერებასა და ეფექტიან აღსრულებას მოითხოვს. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნება შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობისა და ანალიტიკური პოტენციალის გაძლიერების გარეშე, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტიცაა. ამიტომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაძლიერება როგორც საქსტატთან, ასევე იმ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის სტატისტიკის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების გაუმჯობესებას.

მივესალმებით სოფლის მეურნეობის და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესებისკენ მიმართულ FAO-ს გლობალურ ინიციატივას და ამ ინიციატივის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმის (SPAERS) შემუშავების დაწყებას. გვჯერა, რომ სტრატეგიის წარმატებული შემუშავება და განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს მთავრობის ძალისხმევაში, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისკენაა მიმართული, და დაგვეხმარება უფრო ფართომასშტაბიანი მიზნების მიღწევაში, როგორცაა მდგრადი განვითარება, სიღარიბის შემცირება და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



ოთარ დანელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი



სარჩევი

მოკლე მიმოხილვა

თავი 1. შესავალი

- 1.1. მიზნები და დასაბუთება
- 1.2. შემუშავების პროცესი
- 1.3. სოფლის მეურნეობა საქართველოში, პოლიტიკის კონტექსტი და მოსალოდნელი მოთხოვნა სოფლის მეურნეობის მონაცემებზე
- 1.4. SPAERS-ის მოქმედების სფერო და მონაწილე უწყებები
- 1.5. განხორციელების პერიოდი
- 1.6. NSDS-თან ინტეგრაცია
- 1.7. სხვა პროცესებთან კოორდინაცია
- 1.8. ძირითადი დაინტერესებული მხარეები
- 1.9. დოკუმენტის სტრუქტურა

თავი 2. არსებული სიტუაციის ანალიზი

- 2.1 მომხმარებელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების შეფასება
- 2.2 მონაწილე უწყებების შესაძლებლობების შეფასება
 - 2.2.1 სტატისტიკის შეგროვების სამართლებრივი ჩარჩო
 - 2.2.2 სტატისტიკის ეროვნული სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურა
 - 2.2.3 სტატისტიკის ეროვნული სისტემის კოორდინაცია
 - 2.2.4 მონაცემთა მწარმოებელი უწყებები
- 2.3 სტატისტიკური პროდუქტების შეფასება
 - 2.3.1 აღწერები
 - 2.3.2 მემცენარეობის სტატისტიკა
 - 2.3.3 მეცხოველეობის სტატისტიკა
 - 2.3.4 სხვა სასოფლო-სამეურნეო მონაცემები
 - 2.3.5 ტყის სტატისტიკა
 - 2.3.6 წყლის და სხვა გარემოსდაცვითი სტატისტიკა
 - 2.3.7 მიწათსარგებლობის სტატისტიკა
 - 2.3.8 სოფლის განვითარების სტატისტიკა
 - 2.3.9 სხვა სტატისტიკა
- 2.4 SWOT ანალიზის ძირითადი შედეგები

თავი 3. გამოწვევები და პრობლემები

თავი 4. ამოცანები

- 4.1 ხედვა და მისია
- 4.2 სტრატეგიული მიზნები და შედეგები
- 4.3 სამოქმედო გეგმა
 - 4.3.1 კოორდინაცია და მართვა
 - 4.3.2 მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება და მონაცემთა დამუშავების პროცესის გაუმჯობესება
 - 4.3.3 ინვესტირება ადამიანურ რესურსებში
 - 4.3.4 ახალი ტექნოლოგიების გამოყენება
 - 4.3.5 სტატისტიკური ინფრასტრუქტურის და რეგისტრების შექმნა

თავი 5. შესრულების ინდიკატორები

თავი 6. სტრატეგიის განხორციელების საპროგნოზო ღირებულება

6.1 განხორციელების ღირებულება

6.2 დაფინანსების შესაძლო სტრატეგია

თავი 7. განხორციელებისა და მართვის მექანიზმები

თავი 8. რისკების შეფასება

თავი 9. ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება

თავი 10. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა

დანართი 1. ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების მიმოხილვა

დანართი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სისტემის
SWOT ანალიზი

დანართი 3. მმართველი კომიტეტის სამუშაოთა აღწერილობის პროექტი

დანართი 4. ტექნიკური სამუშაო ჯგუფის სამუშაოთა აღწერილობის პროექტი

დანართი 5. დეტალური ბიუჯეტი

დანართი 6. ძირითადი მონაცემები

მოკლე შეჯამება

ისტორია

1. FAO-ს მხარდაჭერითა და კონსულტაციით, საქართველო გახდა ერთ-ერთი საპილოტე ქვეყანა, რომელიც ამზადებს სტრატეგიულ გეგმას, რათა შეასრულოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესების გლობალური სტრატეგიის რეკომენდაციები.
2. სტრატეგიულ გეგმაში გარემოს სტატისტიკის ჩართვა მთავრობის კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე მოხდა. საქართველოში გარემოსდაცვით და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს შორის არსებული მნიშვნელოვანი კავშირების გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ დოკუმენტის სათაურში მიეთითოს გარემოს დაცვის სტატისტიკა.
3. საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესების ყოვლისმომცველი სტრატეგიის სწორედ ახლა მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. კერძოდ, ეს გვაძლევს SPAERS-ის შემუშავების პროცესის ქვეყნის საერთო სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბების ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესთან მჭიდრო კოორდინაციის შესაძლებლობას.
4. საქართველოში SPAERS-ის შემუშავება FAO-ს მიერ მომზადებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად მოხდა, თუმცა, მათში შეტანილი იქნა ზოგიერთი მოდიფიკაცია ქვეყნის კონკრეტული სიტუაციისა და სხვა პარალელურად მიმდინარე პროცესებთან კოორდინაციის საჭიროებების გათვალისწინებით.
5. მონაცემებზე ამჟამინდელი და ასევე სამომავლო მოთხოვნისა და სხვა მიმდინარე პროცესებთან კოორდინაციის საჭიროების გათვალისწინებით, SPAERS-ის დაფარვის არეალი საქართველოსთვის გონივრულად ფართოდ განისაზღვრა. შესაბამისად, დოკუმენტი მოიცავს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკას. სოფლის სტატისტიკის მიმართულებით ყურადღება გამახვილდება სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობასა და საარსებო წყაროების მოპოვების არჩევანის ცვლილებაზე.
6. სტრატეგია გაწერილია 5 წელზე, 2016 წლის იანვრიდან 2020 წლის დეკემბრამდე, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების სამთავრობო სტრატეგიის განხორციელებასთან მისი კოორდინაციის შესაძლებლობას ქმნის.

შეფასება

7. მოსამზადებელ ფაზაზე განხორციელდა სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკურ სისტემაში არსებული მდგომარეობის დეტალური შეფასება. შეფასების ფარგლებში შემუშავდა ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორების წინასწარი სია, რომელიც შესაძლოა მონაცემთა საჭიროებების ცვლილებასთან ერთად შეიცვალოს.
8. სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლების ძირითად პრობლემას სტატისტიკური ინფორმაციის მოცვა და დროულობა წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია როგორც მთავრობისთვის, ისე მეურნეებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად, წარმოების სეზონურობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, არსებობს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მაჩვენებლების უფრო დაბალ დონეზე აგრეგირების არსებობის საჭიროება.
9. ზოგადად, საქსტატის მიერ წარმოებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტატისტიკის ხარისხი და სანდოობა მომხმარებლებისთვის მისაღებია. მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლისთვის

ხელმისაწვდომია, თუმცა, ზოგიერთ მომხმარებელს უჭირს შერჩევის ცდომილებებისა და გამოკვლევის ზოგიერთი ტექნიკური ასპექტების შესახებ ინფორმაციის მიღება.

10. სხვა პრობლემათა შორის შეიძლება დასახელდეს: რეგიონული და მუნიციპალური მონაცემების ნაკლებობა, ფერმერთა სრული რეგისტრის არარსებობა, მიწებისა და მიწათსარგებლობის შესახებ განახლებული ინფორმაციის არარსებობა, სასოფლო დასახლებებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დიდი ნაწილის არარსებობა, თევზისა და აკვაკულტურის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, ტყისა და სხვა გარემოსდაცვითი სტატისტიკის მოცვის არასაკმარისი დონე.

სტრატეგიული გეგმა

11. სტრატეგიული გეგმის ხედვის მიხედვით, საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკურმა სისტემამ მთავრობასა და სხვა მომხმარებლებს მაქსიმალურად ეფექტურად და ეფექტიანად უნდა მიაწოდოს ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საჭიროა ქვეყნის განვითარების უზრუნველსაყოფად და რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის სტატისტიკური მონაცემების მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.
12. მისია განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს „ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის“ წარმოებას „გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის შესაბამისად“.
13. სტრატეგიული ამოცანები და დეტალური სამოქმედო გეგმა ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს: (i) კოორდინაცია და მართვა; (ii) მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება; (iii) ინვესტირება ადამიანურ რესურსებში; (iv) ახალი ტექნოლოგიების გამოყენება; და (v) სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და რეგისტრების შექმნა/განვითარება.
14. სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად, საჭირო იქნება ყველა ხელმისაწვდომი ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. შესაბამისად, SPAERS-ის ძირითად ელემენტს წარმოადგენს 2020 წლისთვის საქართველოში სტატისტიკის კოორდინირებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, დათვლას, გავრცელებასა და ამ ინფორმაციის სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სასოფლო დასახლებების საჭიროებების მიხედვით ეფექტურად გამოყენებას.
15. საქსტატი, როგორც სტატისტიკური სისტემის ლიდერი, დააწესებს სტანდარტებს და კოორდინირებას გაუწევს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელი იქნებიან სტატისტიკის წარმოებაზე იმ სფეროებში, რომლებშიც ამ უწყებებს კონკრეტული ტექნიკური კომპეტენციები აქვთ და რომლებიც მნიშვნელოვანია მათი ძირითადი პოლიტიკური მიზნების მიღწევის პროგრესის მონიტორინგისთვის.
16. სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტატისტიკოსი თანამშრომლები იმოქმედებენ ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, საქსტატისგან მიიღებენ როგორც ტრენინგებს, ასევე სხვა პროფესიულ მხარდაჭერას. საქსტატი გააძლიერებს მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის განყოფილების შესაძლებლობებს ისე, რომ მან შეძლოს სამინისტროებისთვის საჭირო საკონსულტაციო და ტექნიკური დახმარების გაწევა.

17. საქსტატი, საკუთარი ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში, საქსტატის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, ყოველწლიურად გამოაქვეყნებს ანგარიშს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სისტემის კოორდინირებული მუშაობის შესახებ.
18. გაიმართება რეგულარული კონსულტაციები და კომუნიკაციები მონაცემთა მომხმარებლებთან, შეხვედრებისა და სხვა ტიპის კონსულტაციების მეშვეობით.
19. სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები შეაგროვებენ მაჩვენებლებსა და მონაცემებს თავიანთი ყოველდღიური საქმიანობისთვის.
20. ორივე უწყება მჭიდროდ ითანამშრომლებს საქსტატთან ადმინისტრაციული და სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების მოცვისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.
21. 2020 წლისთვის სტატისტიკურ სისტემას დასჭირდება ადმინისტრაციული პროცესებიდან (რეგისტრები) და სხვა წყაროებიდან, მათ შორის – მონაცემთა დისტანციური შეგროვების (remote sensing) შედეგად მიღებული მონაცემების უფრო ინტენსიური გამოყენება და, შესაბამისად, ნაკლებად დაეყრდნობა გამოკვლევებს.
22. ახალი ტექნოლოგიები აგრეთვე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენენ მონაცემთა შეგროვების პროცესზე, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისინი ახალი ტიპის მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას შექმნიან. აქ იგულისხმება თანამგზავრის მეშვეობით და დისტანციური მეთოდით მიღებული მონაცემების გამოყენება ისეთი მახასიათებლების განსასაზღვრად, როგორცაა მიწათსარგებლობა, ტყის საფარი და პირუტყვის სულადობა. აგრეთვე, არსებობს სწრაფად ცვლადი მონაცემების (მაგალითად, ფასების) მონიტორინგისთვის ფიჭური კავშირის და ინტერნეტის მეშვეობით მიღებული მონაცემების გამოყენების პოტენციალი.
23. საქსტატი კვლავ იქნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი მწარმოებელი და ფართომასშტაბიანი გამოკვლევებისა და აღწერების განმახორციელებელი, მონაცემთა გავრცელებასა და მონაცემთა ეროვნული არქივის მართვაზე პასუხისმგებელი უწყება. საქსტატი, ასევე განახორციელებს სტატისტიკური სისტემის საერთო კოორდინირებას და უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონთან, საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში.
24. სოფლის მეურნეობის სამინისტრო განავითარებს თავის შესაძლებლობებს იმისთვის, რომ შეძლოს ტექნიკურ საკითხებსა და ცალკეულ დარგებზე სპეციალური კვლევების ჩატარება. თუმცა, სამინისტრო უმეტესად კონცენტრირებული იქნება იმ ადმინისტრაციული მონაცემების (რეგისტრების) ხარისხისა და დაფარვის არეალის გაუმჯობესებაზე, რომელიც გამოყენებული იქნება სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად და ასევე, საქსტატის მიერ განსახორციელებელი გამოკვლევების შერჩევის ჩარჩოს ფორმირებისათვის. სამინისტრო, აგრეთვე, იმუშავებს სოფლის მეურნეობის მონაცემებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზის მიმართულებით შესაძლებლობის გაძლიერებაზე, რათა გაუმჯობესდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესები.
25. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იმუშავებს იმისათვის, რომ შექმნას და შემდეგ გააძლიეროს თავისი შესაძლებლობები ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების გამოყენებისა და ქვეყანაში არსებული გარემოსდაცვით და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ანგარიშების გაუმჯობესების მიმართულებით.
26. საქსტატის მოკლევადიანი ქმედებები მიმართულია ახალი საჭიროებების შესაბამისად სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევების დაფარვის არეალისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ქმედებები ამ და სხვა მიმართულებებით მოიცავს:

- 2016 წელს – შერჩევის ბაზის განახლება 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების საფუძველზე;
- 2016 წელს – შერჩევის ზომის გაზრდა 5 000-დან 12 000-მდე;
- 2016 წლიდან – მჭიდრო თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებთან მათ მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პოტენციალის განსასაზღვრად;
- 2016 წელს – 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითადი შედეგების გამოქვეყნება;
- 2016 წელს – მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება მონაცემთა არქივის შესაქმნელად, რომელშიც შევა სოფლის მეურნეობის კვლევებისა და აღწერების მონაცემები დაწყებული 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერიდან. ასევე მკვლევარებისთვის შემდგომი ანალიზისთვის საჭირო ანონიმური მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 2016 წელს – მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება მიკრომონაცემების გავრცელების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სისტემის შესაქმნელად;
- 2016 წელს – წყალმომარაგების კომპანიების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება, წყლის მიწოდებისა და დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით;
- 2018 წელს – 2017 წელს განხორციელებული ველის ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, კომპიუტერის მეშვეობით (ტაბლეტები) პერსონალური ინტერვიუების (CAPI) დანერგვა, რათა გაუმჯობესდეს კვლევის ხარისხი და შედეგების გავრცელების დროულობა;
- 2017-2018 წლებში – აკვაკულტურის, სასათბურე მეურნეობების და ფერმების მთლიანი მარჟის საპილოტე გამოკვლევების ჩატარება.

27. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემთხვევაში, ძირითადი ყურადღება დაეთმობა მისი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეულის გაძლიერებას, ფერმერთა რეესტრის შექმნასა და სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელების პროგრესის მონიტორინგისთვის საჭირო ძირითადი მაჩვენებლებისა და მონაცემთა მწკრივების შემუშავებას. კონკრეტული ქმედებები მოიცავს:

- 2016 წელს – 2015 წელს განხორციელებული სავსე სამუშაოების შედეგების საფუძველზე 4 კულტურისთვის მოსავლიანობის გაზომვისა და მოსავლის შეფასების სისტემის შექმნა. დამატებითი კულტურები დაემატება ყოველწლიურად;
- 2016 წლის ბოლოსთვის - ფერმერთა რეგისტრის შექმნის პროცესის დასრულება;
- 2017 წელს – საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემის შექმნა მუნიციპალიტეტების დონეზე, რისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყება 2016 წელს; 2016 წელს – სოფლის განვითარების სტრატეგიის დასრულებისა და დამტკიცების შემდეგ, სოფლის განვითარების ძირითადი ინდიკატორების მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო მონაცემების განსაზღვრა და საქსტატთან აღნიშნული მონაცემების უზრუნველყოფის გზების განხილვა;
- 2017 წელს – სამინისტროში დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- 2017 წელს – მოსავლიანობისა და საბაზრო ფასების შესახებ სტატისტიკის წარმოება ოფიციალური სტატისტიკის პრინციპების შესაბამისად;
- 2017 წელს – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- 2017 წელს – საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის ნიადაგის გეოგრაფიული რუკების განახლების დასრულება;

- 2017 წელს – მორწყული და აღდგენილი მიწების რეგისტრის შექმნა;
- 2017 წელს – FAO-ს დახმარებით, მონაცემთა ეროვნული პორტალის შექმნა, რომელშიც შევა სასოფლო-სამეურნეო და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლები და მონაცემთა მწკრივები;
- 2017 წელს – იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება სოფლის განვითარების სტრატეგიის პროგრესის მონიტორინგის განხორციელება ბიზნეს საწარმოების გამოკითხვის, შრომის ბაზრის კვლევის, სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების მეშვეობით;
- 2017 წელს – ინტეგრირებული გეო-რეფერირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მიზნით;
- 2018 წელს – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემის შექმნა.

28. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ძირითად ყურადღებას დაუთმობს ოფიციალური სტატისტიკის მონაცემთა წყაროების გაუმჯობესებას, ძირითადი მონაცემების შეგროვებისა და გავრცელების შესაძლებლობის ამაღლებას და ასევე, სამინისტროში სტატისტიკის მიმართულებით მომუშავე თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებას. კონკრეტული ქმედებები მოიცავს:

- 2017 წელს – სამინისტროში დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- 2016 წლიდან – საქსტატთან მჭიდრო თანამშრომლობით იმ მეთოდოლოგიებისა და კითხვარების განახლება, რომლებსაც სამინისტრო მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის საწარმოებლად იყენებს;
- 2018 წელს – ტყეების სრული რეგისტრისა და ყველა ძირითადი ტყიანი არეალის მართვის გეგმების შექმნა;
- 2016 წლიდან - საქსტატთან თანამშრომლობა წყლის ხელმისაწვდომობის შესახებ უფრო სრული მონაცემების რეგულარულად მისაწოდებლად;
- 2017 წლიდან – სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან ნახშირბადის გაფრქვევის წლიური შეფასებების გასაუმჯობესებლად;
- 2018 წელს – ძირითადი გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების მაჩვენებლებისა და დროითი მწკრივების მონაცემთა ბაზის შექმნა.

29. ჯერჯერობით შეუძლებელია 2018 წლის შემდგომი პერიოდისთვის დეტალური სამუშაო გეგმის ჩამოყალიბება, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ეს პერიოდი გამოყენებული იქნება პირველი სამი წლის განმავლობაში წამოწყებული საქმიანობის შესაჯამებლად. აგრეთვე, მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება სტატისტიკური მონაცემების ახალ მოთხოვნებზე რეაგირება და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. 2019-2020 წლებისთვის შემუშავდება უფრო დეტალური გეგმები, დაგეგმილი შუალედური ანგარიშის ფარგლებში.

30. სტრატეგიული გეგმის განხორციელების პერიოდის განმავლობაში დაგეგმილია სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკაზე მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა, ამჟამად არსებული 17-დან 37-მდე, 2020 წლისთვის. ყველა თანამშრომელს დასჭირდება ტრენინგი და მუდმივი პროფესიული განვითარება სტრატეგიული გეგმის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

31. ტექნოლოგიების გამოყენების უფრო მაღალ დონეზე აყვანა სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება. იგი გულისხმობს ტაბლეტების გამოყენებას ველზე მონაცემების შეგროვების გასაუმჯობესებლად, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებას მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის გაუმჯობესების მიზნით და ახალი მეთოდების დანერგვას სტატისტიკის ხელმისაწვდომობისა და მონაცემთა ბაზების მართვის გასაუმჯობესებლად.
32. აგრეთვე, მნიშვნელოვანი იქნება სტატისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება და შენარჩუნება, მათ შორის ამომწურავი გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზის, რეგისტრების ჩამოყალიბება და განახლება სამივე უწყებაში, და ღია მონაცემების (open data) მიდგომის მხარდაჭერა მონაცემთა მართვის კუთხით, ინდივიდუალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პირობით.

განხორციელება

33. სტრატეგიის განხორციელების მართვას უზრუნველყოფს სამივე უწყების არსებული მმართველი სტრუქტურა. თუმცა, სასარგებლო იქნება, შეიქმნას ისეთი ადმინისტრაციული სტრუქტურა, სადაც სამივე უწყების წარმომადგენლები შეიკრიბებიან და განიხილავენ პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას, განსაზღვრავენ საკითხებს და რეაგირებას მოახდენენ პრობლემებზე ან სირთულეებზე მათი წარმოქმნისთანავე. ამის განხორციელების მიზნით, მოიაზრება მმართველი კომიტეტის შენარჩუნება, რომელიც თავდაპირველად SPAERS-ის მომზადების ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის მიზნით შეიქმნა.
34. მნიშვნელოვანი იქნება, მკაფიოდ განისაზღვროს მმართველი კომიტეტისა და საქსტატის საბჭოს ურთიერთობები. ამას გარდა, მმართველ კომიტეტს შეეძლება, დროდადრო შექმნას ტექნიკური სამუშაო ჯგუფები კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად.
35. შემუშავდა მონიტორინგისა და შეფასების დეტალური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აქტივობები და როგორ უნდა მოხდეს პროგრესის მონიტორინგი. ოფიციალური შუალედური შეფასება ჩატარდება 2018 წელს.
36. ინფლაციის გათვალისწინებით, ხუთი წლის განმავლობაში (2016-2020 წწ) SPAERS-ის განხორციელების სრული ღირებულება 14.3 მილიონ ლარად შეფასდა. დღევანდელი გაცვლითი კურსის მიხედვით, ეს თანხა დაახლოებით 5,9 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. სასოფლო მეურნეობების შერჩევით გამოკვლევებზე ამ თანხის დაახლოებით 29% მოდის.
37. ფაქტების მიხედვით, საქართველოში სტატისტიკური კვლევების ჩატარების ერთეულის დანახარჯი მსგავსი განვითარების დონის მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ დაბალია, თუმცა პირდაპირი შედარება შესაძლოა ზოგჯერ არასწორი იყოს, რადგან ღირებულების გამოთვლა ყველგან ერთნაირად არ ხდება.
38. SPAERS-ის განხორციელება მოითხოვს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის განსაზღვრული ოდენობით გაზრდას, რათა შესაძლებელი იყოს გარკვეული რეგულარული (განსაკუთრებით – ხელფასებისა და ძირითადი მონაცემების დამუშავების) ხარჯების დაფარვა.
39. აგრეთვე, აუცილებელი იქნება მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორების მხრიდან, კერძოდ კი – აღჭურვილობასა და ადამიანურ რესურსებში ჩასადები ინვესტიციების კუთხით. გათვლების შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დონორების მიერ დასაფინანსებელი თანხის ოდენობა ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში იქნება 6,96 მილიონი ლარი, ანუ 2,90 მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნული თანხის მოპოვება, სავარაუდოდ, არსებული პროგრამებიდან და რესურსებიდან მოხდება, განსაკუთრებით კი ევროპის სამეზობლო პროგრამიდან სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD).

40. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს სტატისტიკურ სისტემას კვლავ დასჭირდება საერთაშორისო ტექნიკური მხარდაჭერა. გაანგარიშების შესაბამისად, საჭირო ტექნიკური დახმარების პროგრამა 0,98 მილიონი ლარი, ანუ 0,41 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. ისევ და ისევ მოსალოდნელია, რომ ტექნიკური დახმარება მოხდება არსებული პროგრამების ფარგლებში.

თავი 1. შესავალი

1.1. მიზნები და დასაბუთება

FAO-სთან კონსულტაციების საფუძველზე, საქართველო შეირჩა ერთ-ერთ საპილოტე ქვეყნად, სადაც სოფლის მეურნეობის და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესების გლობალური სტრატეგიის¹ მოთხოვნების შესაბამისი სტრატეგიული გეგმა უნდა მომზადდეს. FAO-ს აზრისა და წყნარი ოკეანის რეგიონული ოფისის მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ, საქსტატმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სტრატეგიული გეგმის პროექტის შექმნაზე მუშაობა დაიწყეს. SPAERS-ის პროექტის მიზანია ხუთწლიანი პერიოდის (2016-2020 წწ) განმავლობაში სტატისტიკის დაფარვის არეალისა და ხარისხის გაუმჯობესების სრული და რეალისტური სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

სტრატეგიულ გეგმაში გარემოსდაცვითი სტატისტიკის ჩართვა მთავრობის კონკრეტული მოთხოვნით მოხდა. მოსამზადებელ ფაზაზე ცხადი გახდა, რომ სტრატეგიულ გეგმაში აუცილებელია გარემოსდაცვითი სტატისტიკისა და შესაბამისი სამინისტროს ჩართვა ერთ-ერთი ძირითადი განმახორციელებელი უწყების სტატუსით. ეს მიდგომა მოიწონა გეგმის მომზადებაზე მომუშავე მმართველმა კომიტეტმა და, შესაბამისად, ამ იდეის მკაფიოდ დაფიქსირების მიზნით, გარემოსდაცვითი სტატისტიკა დოკუმენტის სახელშიც იქნა შეტანილი.

საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის გაუმჯობესების სტრატეგიული გეგმის სწორედ ამ დროს შემუშავება ძალზედ მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, აუცილებელია სოფლის მეურნეობის სტატისტიკის გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სამთავრობო სტრატეგიის განხორციელების პროგრესის მონიტორინგი და შედეგების შეფასება. თავად სტრატეგია ყოვლისმომცველია და ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ფაქტიურად ყველა ასპექტს მოიცავს. მისი განხორციელება უკვე მოითხოვს ახალი ტიპის მონაცემებისა და ახალი მაჩვენებლების არსებობას. მეორეც, SPAERS-ის მომზადება ეროვნული სტატისტიკის ახალ სტრატეგიასთან კოორდინირებულად ხდებოდა. ლიტვის სტატისტიკის სამსახურის დახმარებით საქსტატმა დაიწყო ახალი სტრატეგიული გეგმის მომზადება, რომლის მიზანს სტატისტიკური პროცესისა და მისი შედეგების ევროპის სტატისტიკური სისტემის (ESS) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სტრატეგიის მომზადებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები და, ამავე დროს, ორივე დოკუმენტის ერთმანეთთან შესაბამისობასა და კოორდინაციას უზრუნველყოფს.

¹http://www.fao.org/economic/ess/ess-capacity/ess-strategy/en/#.VIIt_YRIAbY

ამის პარალელურად, ევროკავშირი უკვე უწევს საქართველოს ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ENPARD-ის პროექტის ფარგლებში. ეს პროგრამა (2013-2018 წწ) მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში ხდება როგორც საბიუჯეტო, ასევე ტექნიკური დახმარების გაწევა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ENPARD-ის მეორე ფაზის შესახებ და მთავრობა იღებს ვალდებულებას სოფლის მეურნეობის სტატისტიკასთან დაკავშირებული გარკვეული პირობების შესრულებაზე. SPAERS-ის მომზადების პროცესის ENPARD-ის მოთხოვნებთან კოორდინაციამ უზრუნველყო ამ კონკრეტული პირობების ჩართვა სამოქმედო გეგმაში.

და ბოლოს, SPAERS-ის პროცესის მოცემულ პერიოდში განხორციელებას სხვა უპირატესობებიც გააჩნია. მაგალითად, ეს ნიშნავს, რომ სტრატეგიული გეგმა შეძლებს იმ საბაზისო მონაცემების გამოყენებას, რომლებიც 2014 წლის მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის აღწერების შედეგად იქნა მიღებული. მისი მომზადება სოფლის განვითარების ახალი სტრატეგიის განხილვის პარალელურად ხდებოდა და სამოქმედო გეგმა ამ სტრატეგიის ძირითად კომპონენტებსაც ითვალისწინებს. გარდა ამისა, გეგმა მოიცავს ზოგიერთ დებულებას, რომელიც საქართველოს დაეხმარება გაეროს მიერ სექტემბერში დამტკიცებული მდგრადი განვითარება-2030-ის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და მდგრადი განვითარების მიზნების² (SDGs) მიღწევაში.

1.2 შემუშავების პროცესი

SPAERS-ის მომზადების პროცესი საქართველოში FAO³-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობდა, თუმცა გაკეთდა გარკვეული მოდიფიკაციები, რომლებიც ითვალისწინებდა ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ სიტუაციას და სხვა პარალელურ პროცესებთან კოორდინირების საჭიროებებს. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი შემდეგ ფაზებს მოიცავდა:

- **მომზადება** – მათ შორის სტრატეგიის დაფარვის არეალისა და განრიგის შეთანხმება, შესასრულებელი ამოცანების განსაზღვრა, საჭირო რესურსების განსაზღვრა, სამუშაოს შემსრულებელი ჯგუფების ჩამოყალიბება, პროცესის კოორდინაციისა და მართვის სათანადო მექანიზმების შექმნა და სასურველი შედეგების შეთანხმება, სტრატეგიის საბოლოოდ დამტკიცების ვადებისა და საჭირო ქმედებების შეთანხმება.
- **შეფასება** – ძირითადი ყურადღება იმ პროცესებსა და პროდუქტებს ეთმობოდა, რომლებიც საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ. შეფასების ფაზაზე მომზადდა ქვეყნის სტატისტიკური სისტემის დეტალური შეფასება და ქვეყნის პროფილი, ასევე შემუშავდა რამდენიმე ინდიკატორი, რომელიც ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებს აღწერს.⁴ შეფასებისთვის ინფორმაცია მიღებული იქნა ქვეყნის შეფასების ყოვლისმომცველი სტანდარტული კითხვარის მეშვეობით, რომელიც რამდენიმე ძირითადმა დაინტერესებულმა მხარემ შეავსო.
- **კონსულტაცია** – ბევრი თვალსაზრისით, კონსულტაცია მომზადების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. სტრატეგიის ეფექტურობისთვის და, განსაკუთრებით, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მისი სათანადოდ განხორციელება, აუცილებელია, მას

² <https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld>

³ FAO (2014).

⁴ FAO (2014b) url: http://www.gsars.org/wp-content/uploads/2014/09/Guidelines_Country-Assessment_FINAL.pdf

ეთანხმებოდეს და მხარს უჭერდეს დაინტერესებულ პირთა უმრავლესობა. კონსულტაციები ჩატარდა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: სოფლის მეურნეობის, გარემოს და სოფლის სტატისტიკის ძირითადი მწარმოებლები, იმ უწყებების ჩათვლით, რომლებიც ადმინისტრაციულ მონაცემებს აწარმოებენ, ასევე სტატისტიკის მომხმარებლები, სამთავრობო უწყებები, მკვლევარები, ბიზნეს სექტორი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები, ფერმერები და მათი ოჯახები და სხვა. კონსულტაციები მოიცავდა სემინარებს, შეხვედრებსა და პირად საუბრებს.

- **დაგეგმვა** – დაგეგმვა განხორციელდა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქსტატი, ხოლო მხარდაჭერას FAO-ის მიერ მოწვეული კონსულტანტები უწევდნენ. ამ ფაზაზე განისაზღვრა სტრატეგიის მიზნები და ამოცანები და მიღებული იქნა გადაწყვეტილება პრიორიტეტების შესახებ, საჭიროებების, რესურსების და შეზღუდვების რეალისტური შეფასების საფუძველზე.
- **დამტკიცება და განხორციელების დაწყება** – სტრატეგიის მომზადების პროცესის ბოლო ნაწილი მისი ოფიციალურად დამტკიცება და განხორციელების დაწყება იქნება. ზოგადად, იმისათვის, რომ სტრატეგიამ ფართო აღიარება და მხარდაჭერა მოიპოვოს, მნიშვნელოვანია, რომ იგი იყოს მრავალმხრივ მისაღები და მხარდაჭერის მქონე ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტი.

1.3. სოფლის მეურნეობა საქართველოში, პოლიტიკის კონტექსტი და მოსალოდნელი მოთხოვნა სოფლის მეურნეობის მონაცემებზე

საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს, თუმცა მის უახლეს ისტორიაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ოდენობა და ამ სექტორის შემოსავლებიც მნიშვნელოვნად მცირდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი ათი წლის განმავლობაში (1991-2001) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა წელიწადში საშუალოდ 11%-ით მცირდებოდა⁵. როცა ამ პერიოდში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაჩვენებელი თავის მინიმუმადე შემცირდა, ის საბჭოთა პერიოდის ბოლოსთვის არსებული დონის ერთ მესამედსაც კი ვერ აღწევდა.

თუმცა, 2000-იანი წლების დადგომასთან ერთად პროდუქციის მოცულობის ვარდნამ იკლო და უკანასკნელი წლების განმავლობაში ზრდაც კი დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზსჭერის სექტორის რეალური ზრდა 2013 წელს 11,3%-ს, ხოლო 2014 წელს 1,5%-ს შეადგენდა. თუმცა ცხადია, რომ ეს დარგი, ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების გენერირებაში წვლილის შეტანის მნიშვნელოვანი პოტენციალის მიუხედავად, ჯერ კიდევ უამრავი პრობლემის წინაშე დგას. მთავრობა ხაზს უსვამს ინვესტირებისა და პროდუქტიულობის გაზრდის საჭიროებებს და ცოტა ხნის წინ დაიწყო სექტორის განვითარების სტრატეგიის განხორციელება, რომელიც 2020 წლამდე პერიოდს მოიცავს⁶.

სტრატეგიაში აღნიშნულია ზრდის პოტენციალი, როდესაც ქვეყნის სრული ტერიტორიის 43% სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავია, და როდესაც აგრო-ეკოლოგიური პირობების ასეთი ფართო სპექტრი არსებობს. თუმცა, თვალსაჩინოა დაბრკოლებებიც. ესენია: მიწების ფრაგმენტული

⁵ Welton (2013).

⁶ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020 წწ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MOA), (2015 წ).

განაწილება, როდესაც ფერმების სამი მეოთხედი ფლობს 1 ჰექტარს ან ნაკლები ფართობის მიწას და მიწების რეგისტრაციის პრობლემები. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საერთო რაოდენობა 2004 წლის შემდეგ დაახლოებით 21%-ით შემცირდა - 815 ათასიდან 642 ათასამდე⁷. ამავდროულად, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მიუხედავად 2007 წლის შემდეგ უმნიშვნელო შემცირებისა, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია და 10%-ზე ოდნავ ნაკლებს შეადგენს. 2010-2014 წლებში მთლიანი ეკონომიკის საშუალო წლიური რეალური ზრდა 5,4%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური რეალური ზრდა 4,2% იყო.

1.4. SPAERS-ის მოქმედების სფერო და მონაწილე უწყებები

მომზადების ფაზაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ SPAERS-ის მოქმედების სფერო საქართველოში უნდა განისაზღვროს რაც შეიძლება ფართოდ, საწყის პერიოდში მაინც, რათა მოხდეს მონაცემებზე არსებული და სამომავლო მოთხოვნის, ასევე, სხვა მიმდინარე პროცესებთან მისი დაკავშირების საჭიროებების გათვალისწინება. შესაბამისად, განისაზღვრა მოქმედების შემდეგი არეალები:

- **სასოფლო-სამეურნეო წარმოება** – რესურსების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და განთავსება.
- **სხვა სასოფლო წარმოება** – მოიცავს სატყეო მეურნეობას, თევზჭერას, განსაკუთრებით აკვაკულტურას, და სხვა საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.
- **გარემოს რესურსების მართვა** – ძირითადად ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი რესურსების (მათ შორის, მიწისა და წყლის) მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სტატისტიკას.
- **სოფლის განვითარება** – ფოკუსი გაკეთდება სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობასა და საარსებო წყაროების მოპოვების არჩევანის ცვლილებაზე.

1.5. განხორციელების პერიოდი

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სოფლის მეურნეობის განვითარების სამთავრობო სტრატეგიის განხორციელებასთან შესაბამისობა, შეთანხმდა, რომ SPAERS განხორციელდებოდა ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში – 2016 წლის იანვრიდან 2020 წლის დეკემბრამდე. გადაწყდა, რომ დეტალური სამუშაო პროგრამა მომზადდება მხოლოდ პირველი სამი წლისთვის – 2016 წლის იანვრიდან 2018 წლის დეკემბრამდე, ხოლო დარჩენილი ორი წლის (2019-2020) სამოქმედო გეგმა უფრო კონკრეტულად დეტალური შუალედური შეფასების მომზადებისას გაიწერება, რომლის დასრულებაც 2018 წლის შუა პერიოდისთვის არის დაგეგმილი.

1.6. NSDS-თან ინტეგრაცია

ის ფაქტი, რომ საქსტატი სტატისტიკის ახალ ეროვნულ სტრატეგიას SPAERS-თან ერთდროულად ამზადებს, მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ცხადია, რომ ორივე პროცესი

⁷ 2004 წლის სოფლის მეურნეობის აღწერა (დაახლოებით 730 ათასი მეურნეობა) არ მოიცავდა დიდ ქალაქებს: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და ფოთი (დაახლოებით 85 ათასი მეურნეობა).

მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და გავლენას ახდენენ ერთმანეთის შედეგებზე. სტატისტიკის უფრო ფართო სტრატეგია შექმნის სტრატეგიის განვითარების ჩარჩოებს 2016 წლიდან და შემდგომ პერიოდში. კერძოდ, იგი განსაზღვრავს, როგორ შეიძლება საქართველოს სტატისტიკური სისტემის ESS-თან კიდევ უფრო დაახლოება. ეს მოითხოვს სტატისტიკური საქმიანობის მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებში შესატანი ცვლილებების მომზადებას, აგრეთვე, მთლიანად სტატისტიკური სისტემის მართვისა და კოორდინაციის მიდგომების გადახედვას. განსახორციელებელი იქნება ქმედებები ორი მიმართულებით: ეროვნული სტატისტიკის კონცეფციის შემდგომი განვითარება და უწყებებს შორის მონაცემების მიმოცვლის მხარდაჭერა. SPAERS-ის დოკუმენტი შემუშავდა ისეთი ფორმით, რომ ხელი შეუწყოს სტატისტიკის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას და ხაზი გაუსვას ადამიანურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების აუცილებლობას.

1.7. სხვა პროცესებთან კოორდინაცია

გარდა სტატისტიკის განვითარების ახალი ეროვნული სტრატეგიისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიისა, SPAERS სხვა პროცესებთან კოორდინაციის საჭიროებებსაც ითვალისწინებს. ეს პროცესებია:

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს „მხარეთა შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას ერთობლივი ფასეულობებისა და მჭიდრო კავშირების საფუძველზე, მათ შორის საქართველოს თანამონაწილეობას ევროკავშირის პოლიტიკაში, პროგრამებსა და უწყებების მუშაობაში“⁸. საქართველოს სტატისტიკური სისტემის გაძლიერება, მისი ESS-თან დაახლოება და შესაბამისობის უზრუნველყოფა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. საშუალო და გრძელვადიან მიზანს სტატისტიკური კანონმდებლობისა და პროცესების ევროპაში მოქმედ პრინციპებთან ეტაპობრივი დაახლოება წარმოადგენს. შეთანხმება მოიცავს თანამშრომლობის გაძლიერების ვალდებულებას ოფიციალური სტატისტიკის გარკვეული მიმართულებებით, მათ შორის, „სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში, სასოფლო-სამეურნეო აღწერების ჩათვლით, და გარემოს სტატისტიკაში“.
- ENPARD საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესს საბიუჯეტო და ტექნიკურ დახმარებას უწევს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მხარდაჭერა არ არის ცხადად განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციაში, ფართოდაა აღიარებული, რომ კარგი სტატისტიკა აუცილებელია როგორც ზოგადად, ისე სოფლის მეურნეობის სათანადოდ განვითარებისთვის. სადამკვირვებლო მისიები თავიანთ სამუშაოს ყოველწლიურად ასრულებენ და აკვირდებიან ზოგადი და კონკრეტული მიმართულებებით მიღწეულ პროგრესს, რაც, საბოლოოდ, განსაზღვრავს საბიუჯეტო ტრანშების მიმართულებას. მეორე ტრანშის წინ ჩატარებულ სადამკვირვებლო მისიას ჰქონდა კონკრეტული რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის სტატისტიკის შესახებ. ეს რეკომენდაციები აღიარებდა 2014 წლის სოფლის მეურნეობის აღწერის მნიშვნელოვნებას და იძლეოდა სტატისტიკური კანონმდებლობის გადახედვის რეკომენდაციას, ფერმერთა რეგისტრისა და უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის შემუშავების, მემცენარეობის შესახებ წლიური გამოკვლევის დაფარვის არეალისა და გავრცელების ვადების

⁸ Association Agreement, between the European Union and the European Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, Article 1, (2).a.

გაუმჯობესების შესახებ. ყველა ეს საკითხი გათვალისწინებული იქნა SPAERS-ში. კერძოდ, ის მიმართულებები, რომლებიც განისაზღვრა, როგორც სპეციალური პირობები ENPARD 2-ის საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამისთვის, ჩართული იქნა 1-ლი ან მე-2 წლის პრიორიტეტული აქტივობების სიაში.

- სოფლის განვითარების ხელშეწყობა: სოფლის განვითარება ENPARD-ის ძირითადი ამოცანაა და იგი, აგრეთვე, ხაზგასმულია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში. მთავრობა ამზადებს სოფლის განვითარების სტრატეგიის პროექტს და ამ დოკუმენტში განსაზღვრულია ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორებიცაა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების ურთიერთდაკავშირება.
- გარემოს მართვა და დაცვა: გარემოსდაცვითი პრობლემები ერთ-ერთია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შვიდი სტრატეგიული მიმართულებიდან. აქ ძირითადი ყურადღება კლიმატის ცვლილების ზეგავლენის მართვასა და გარემოს რესურსების დაცვას ეთმობა. SPAERS-ის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან იმ პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრად, სადაც საჭიროა გარემოსდაცვითი სტატისტიკის გაუმჯობესება და გაფართოება. ასევე, განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სიღარიბისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სტატისტიკაში გარემოსდაცვითი მონაცემების ინტეგრირების გზები.

1.8. ძირითადი დაინტერესებული მხარეები

SPAERS-ის მომზადების პროცესში ტარდებოდა ფართომასშტაბიანი კონსულტაციები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. მათ შორის:

- **მონაცემთა მწარმოებლებთან** – განსაკუთრებით მონაცემთა მწარმოებელ ძირითად უწყებებთან: საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.
- **მონაცემთა მომხმარებლებთან** – ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობები, პოლიტიკოსები, მკვლევარები, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- **მონაცემთა მომწოდებლებთან** – ადამიანები, ვისგანაც გამოკვლევების, აღწერებისა და მონაცემთა შეგროვების სხვა პროცესების დროს მონაცემები გროვდება, განსაკუთრებით ფერმერთა ასოციაციები.
- **დამფინანსებელ უწყებებთან** – იგულისხმება უწყებები, რომლებიც გამოყოფენ სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო თანხებს, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტრო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საკონსულტაციო პროცესის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სემინარი და შეხვედრა თბილისში, პირადი შეხვედრები ძირითად პირებთან და ონლაინ კონსულტაციები.

1.9. დოკუმენტის სტრუქტურა

დოკუმენტი მოიცავს ათ თავს და ექვს დანართს. მე-2 თავში შეჯამებულია არსებული სიტუაცია, კერძოდ, შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია და ყურადღება ექცევა: მომხმარებელთა საჭიროებებსა და არსებულ მდგომარეობას, თუ რა დონეზეა ისინი უკვე დაკმაყოფილებული; მონაცემთა მწარმოებელი უწყებების ამჟამინდელ შესაძლებლობებს; ძირითადი სტატისტიკური პროდუქტების მიმოხილვას/შეფასებას.

მე-3 თავში აღწერილია ის გამოწვევები და პრობლემები, რომელთა წინაშე დღევანდელი მდგომარეობით სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკა დგას. მე-4 თავში მოცემულია სტრატეგიის განხორციელების ამოცანები და აღწერილია სამოქმედო გეგმა, მათ შორის: ხედვა და მისია, 2020 წლისთვის მისაღწევი ძირითადი მიზნები და ამოცანები. მე-5 თავში მოცემულია სტრატეგიის ამოცანების შესრულების ინდიკატორები, ხოლო მე-6 თავი აღწერს სტრატეგიის განხორციელების საპროგნოზო ღირებულებას. მე-7 თავი მოცემულია ინფორმაცია სტრატეგიის განხორციელებისა და მართვის მექანიზმების შესახებ. მე-8 თავში საუბარია იმ რისკებზე, რომელიც სტრატეგიის განხორციელებას შეიძლება უკავშირდებოდეს. მე-9 თავში აღწერილია ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება, ხოლო ბოლო, მე-10 თავში მოცემულია სტრატეგიის განხორციელების დეტალური სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიას თან ახლავს ექვსი დანართი: 1) ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების მიმოხილვა, 2) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სისტემის SWOT ანალიზი, 3) მმართველი კომიტეტის სამუშაოთა აღწერილობის პროექტი, 4) ტექნიკური სამუშაო ჯგუფის სამუშაოთა აღწერილობის პროექტი, 5) დეტალური ბიუჯეტი, 6) ძირითადი მონაცემები.

თავი 2. არსებული სიტუაციის ანალიზი

2.1. მომხმარებელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების შეფასება

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სიტემის შექმნისა და განვითარებისთვის ამოსავალი წერტილია იმის ცოდნა, თუ ვინ არის სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელი. სოფლის მეურნეობის სტატისტიკას საქართველოში ბევრი მომხმარებელი ჰყავს. ძირითადი მომხმარებელი მთავრობაა და მას სტატისტიკა სოფლის მეურნეობის დარგის მუშაობის მონიტორინგის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და განვითარების პროგრამების დასაგეგმად ესაჭიროება. სხვა მომხმარებლები არიან: საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ინსტიტუტები და თავად ფერმერები, რომლებსაც მონაცემები თავიანთი რეგულარული საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდებათ. საქართველოში სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკაზე მოთხოვნა მუდმივად მზარდია. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს, სოფლის მეურნეობის სტატისტიკას მრავალი სხვადასხვა ტიპის მომხმარებელი (მთავრობა, მეწარმეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო პარტნიორები, ჟურნალისტები, სტუდენტები და მკვლევარები) იყენებს.

შერჩევის ზომა, რომელსაც საქსტატი სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ჩასატარებლად იყენებს, არ არის საკმარისი ყველა რეგიონის დონეზე ყველა ინდიკატორის მისაღებად. მუნიციპალურ დონეზე მონაცემები საერთოდ არ არსებობს. ეს უმთავრეს პრობლემას

წარმოადგენს მონაცემთა ყველა ტიპის მომხმარებლისთვის. გამოკვლევა 2007 წელს დაიწყო და, თავდაპირველად, 2006 წლის მონაცემები შეგროვდა. 2006 წლამდე მონაცემების შესაგროვებლად მოძველებული მეთოდოლოგია გამოიყენებოდა და ეს მონაცემები ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც მონაცემთა მომხმარებლების კიდევ ერთი დიდი საზრუნავია. წლიური მოსავლის შესახებ ყოველწლიურ წინასწარ მონაცემებს საქსტატი მომდევნო წლის აპრილში და საბოლოო მონაცემებს ივნისში აქვეყნებს. მონაცემთა მომხმარებლების უმეტესობა აცხადებს, რომ ეს ძალიან გვიანია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროსტატის სტატისტიკური კომპენდიუმით მონაცემები თითქმის იგივე ვადებში ქვეყნდება.

საქართველოში მონაცემებზე მოთხოვნას საუკეთესოდ აღწერს ქვეყნის შეფასების კითხვარი. მასში მოცემულია ძირითადი მაჩვენებლების ნუსხა (ძირითადი მონაცემების ნუსხა შეგიძლიათ იხილოთ დანართში 6). ამას გარდა, მონაცემთა მომხმარებლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩათვლით, მონაცემებში არსებულ ხარვეზებზე საუბრობენ და მიუთითებენ იმ ინდიკატორებზე, რომელთა შესახებაც სჭირდებათ ინფორმაციის რეგულარულად მიღება. სია შემდეგია:

- სხვადასხვა ხილის, ბოსტნეულის, ბალახის, ყურძნის, ციტრუსის, ჩაის წარმოება, მოსავლიანობა, დათესილი და აღებული ფართობები მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- საქსტატი არ აქვეყნებს მონაცემებს მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობების შესახებ, რაც დიდი პრობლემაა მონაცემთა ყველა მომხმარებლისთვის;
- მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტატისტიკა მუნიციპალურ დონეზე;
- ბიოპროდუქტების წარმოება;
- ხორბლის, ქერისა და ჭვავის საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესები;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარკვეული სახეობებისთვის და სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა ფასების ინდექსი;
- გენდერის მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და საკუთრების შესახებ;
- მონაცემები სოფლის ტურიზმის შესახებ, აგრო-ტურიზმის ჩათვლით;
- მიწებისა და მიწათსარგებლობის მონაცემები რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე;
- მონაცემები სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების შესახებ;
- მონაცემები ფერმერების საწარმოო ხარჯების შესახებ;
- საკვების გადამუშავების სტატისტიკა ძირითადი პროდუქტებისთვის, დარგების მიხედვით;
- მონაცემები მოსავლის დაზიანების შესახებ;
- ზომისა და საკუთრების ფორმების მიხედვით ჩაშლილი ფერმერთა რეგისტრი;
- აკვაკულტურის მეურნეობების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- ფერმების ზღვრული მარჟის გამოკვლევა;
- ყოველთვიური მონაცემები სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების (თითოეული პროდუქტისთვის) მოხმარების შესახებ, კალორიების, ცხიმებისა და ცილების მითითებით;
- სასურსათო ბალანსები ხილისთვის (თითოეული სახეობისთვის), ბოსტნეულისთვის (თითოეული სახეობისთვის), ციტრუსისთვის (თითოეული სახეობისთვის);
- კამეჩებისა და ცხენების რაოდენობა;
- პირუტყვის რაოდენობა ასაკის მიხედვით;
- მონაცემები პირუტყვის დაცემის შესახებ ასაკის მიხედვით;
- კვერცხისმდებელი ქათმების, ბროილერებისა და ინდაურების რაოდენობა;

- თევზჭერის სტატისტიკა, აკვაკულტურის მეურნეობების მიერ წარმოებული თევზის ჩათვლით;
- სოფლის განვითარების ინდიკატორების გამოკვლევა;
- ნარჩენების მართვის სტატისტიკა;
- მონაცემები კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- შინამეურნეობების შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან, თითოეული პროდუქტისთვის;
- ნიადაგში ცხოველთა ნაკელის გამოყენება;
- ნიადაგში კანალიზაციის შლამის შეტანა;
- მონაცემები მორწყული და მოურწყავი კულტურების შესახებ;
- წყლის მოხმარებისა და წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ მონაცემების უფრო დეტალური ჩაშლა;
- კულტურების მოსავლიანობა რეგიონებისა და საირიგაციო სისტემებზე ხელმისაწვდომობის მიხედვით;
- ინფორმაცია მთავრობის სასოფლო-სამეურნეო ან სოფლისთვის განკუთვნილი სუბსიდიების ან დახმარების პროგრამების ბენეფიციარების შესახებ.

2.2. მონაწილე უწყებების შესაძლებლობების შეფასება

2.2.1. სტატისტიკის შეგროვების სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოს განსაზღვრავს 2009 წელს მიღებული და 2010 წელს ძალაში შესული კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. კანონის მიზანია, უზრუნველყოს ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოება გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის შესაბამისად. კანონი განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის არსს, მიზანსა და პრინციპებს და ქმნის სტატისტიკის წარმოების, ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების, ასევე, მოსახლეობის აღწერის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს. კანონის თანახმად, წლიურ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამას ამზადებს საქსტატი. ეს პროგრამა თანხმდება ყველა სამინისტროსთან, საწყის ეტაპზე განიხილება საქსტატის საბჭოს მიერ და მტკიცდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით. წლიური გეგმა მოიცავს შესასრულებელი სამუშაოებისა და მათი შემსრულებლების ნუსხას, შემოწმების სიხშირისა და გამოქვეყნების თარიღების მითითებით.

2.2.2. სტატისტიკის ეროვნული სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურა

საქართველოში სტატისტიკური სისტემა ცენტრალიზებულია. კანონი განსაზღვრავს, რომ ყველა ტიპის სტატისტიკური საქმიანობისთვის აღმასრულებელ უწყებას საქსტატი წარმოადგენს. საქსტატი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქსტატში ფუნქციონირებს საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქციებია: საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, წლიური სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის, მეთოდოლოგიის განხილვა და დამტკიცება, საქსტატის წლიური ანგარიშის შეთანხმება და სხვ. საბჭო შედგება 8 წევრისგან. მასში შედის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ამავდროულად საბჭოს თავმჯდომარეცაა. ერთი წევრი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს, ერთი

– ეროვნულ ბანკს და ერთი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. დანარჩენი ხუთი წევრი (თავმჯდომარის ჩათვლით) საჯარო მოხელე არ არის.

2.2.3. სტატისტიკის ეროვნული სისტემის კოორდინაცია

კანონის თანახმად, სტატისტიკის წარმოება და გავრცელება გაეროს 10 ძირითად პრინციპს (ოფიციალური სტატისტიკის შესახებ) უნდა ეფუძნებოდეს. ეროვნულ დონეზე კოორდინაცია ერთ-ერთია ამ ათი პრინციპიდან და კანონში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის შიგნით სტატისტიკის მწარმოებელ უწყებებს შორის კოორდინაცია მნიშვნელოვანია სტატისტიკური სისტემის თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ნიშნავს საქსტატის თანამშრომლობას და კოორდინაციას სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან, სტატისტიკის ეფექტიანად წარმოების მიზნით. საქსტატი არის უწყება, რომელიც საქართველოს მთელი სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელი ორგანოს როლს ასრულებს.

ამჟამად, საქსტატი ამზადებს ეროვნული სტატისტიკის ახალ სტრატეგიას. სტატისტიკის პირველი ეროვნული სტრატეგია 2011 წელს დამტკიცდა და იგი 2014 წლამდე პერიოდს მოიცავდა. ახალი სტრატეგია ყურადღებას კონკრეტულად პროცესების და პროდუქტების ESS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას დაუთმობს. პარალელურად, სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მომზადებას რამდენიმე უპირატესობა აქვს და ამ დოკუმენტების ერთმანეთთან კოორდინაციისა და ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (2015-2020 წწ) ინსტიტუციური განვითარების ხედვას აყალიბებს. ამ სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთ მიზანს საბაზრო ინფორმაციის ეფექტიანი შეგროვების, დამუშავებისა და სოფლის მეურნეობის დარგში აქტიურად ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის გავრცელების მხარდაჭერა წარმოადგენს. სტრატეგია მიზნად ისახავს, საქსტატთან მჭიდრო თანამშრომლობით გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ხარისხი. ამას გარდა, ENPARD სოფლის მეურნეობის სტატისტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციებს იძლევა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ფერმერთა რეგისტრის შექმნაზე მუშაობს და ამ ჯგუფში საქსტატიც არის ჩართული. სპეციალური ყურადღება რამდენიმე დეტალურ ტექნიკურ საკითხს უნდა მიექცეს. მაგალითად: სასოფლო მეურნეობის, კულტურებისა და პირუტყვის ტიპების განსაზღვრებების ჰარმონიზება. აგრეთვე, რეკომენდებული საერთაშორისო ტექნიკური დახმარების მოძიება.

ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქსტატის მიერ მომზადებული წლიური სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა ყველა ადმინისტრაციული წყაროს პასუხისმგებლობასა და სტატისტიკური მონაცემების მოწოდების ვადებს განსაზღვრავს. გარდა ამისა, საქსტატს გაფორმებული აქვს მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ სტატისტიკის ეროვნული სისტემის ძირითად პარტნიორებთან, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. ეს მემორანდუმები განსაზღვრავენ თანამშრომლობის წესებსა და პროცედურებს, ასევე, ხელმომწერი მხარეების ურთიერთვალდებულებებს.

ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკის მაკოორდინირებელი საბჭო ან სხვა მსგავსი ფორმატი. თუმცა, საქსტატის საბჭოში საჯარო მოხელეების მონაწილეობა ხელს უწყობს სტატისტიკის ეროვნული სისტემის კოორდინაციას.

2014 წელს საქსტატში შეიქმნა მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის განყოფილება. არსებობს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები შედიან. ამ ჯგუფის ერთ-ერთ მიზანს ეროვნული სტატისტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება წარმოადგენს. 2015 წლის განმავლობაში ამ განყოფილებამ სხვა პარტნიორ დაწესებულებებს ევროკავშირის პრაქტიკის კოდექსი გააცნო.

2.2.4. მონაცემთა მწარმოებელი უწყებები

საქსტატს მართავს საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც ამავდროულად საბჭოს თავმჯდომარეცაა. აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს სამი მოადგილე. საქსტატი 8 რეგიონული ოფისისგან შედგება, თავად კი 11 სამმართველოდ არის დაყოფილი. სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის თვალსაზრისით შესაბამისი სამმართველოებია: სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო, ეროვნული ანგარიშების სამმართველო, სოციალური სტატისტიკის სამმართველო, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო, ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო, მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის განყოფილება.

სტატისტიკური მონაცემების (სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ჩათვლით) შეგროვებაში საქსტატის რეგიონული ოფისებიც მონაწილეობენ. მონაცემთა შეგროვებას მუნიციპალური კოორდინატორები და ინტერვიუერები ახორციელებენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ეროვნული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი ძირითადი ქვედანაყოფია პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტი. მუნიციპალიტეტების დონეზე არსებობს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც შიდა მოხმარებისთვის საჭირო ინფორმაციას აგროვებენ. სამინისტროში სტატისტიკაზე ორი ადამიანი მუშაობს, ხოლო, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში - 59. სამინისტრო აგროვებს ქვემოთ ჩამოთვლილ მონაცემებს:

- მემცენარეობის წარმოების მონაცემები – სეზონის განმავლობაში გროვდება საპროგნოზო მონაცემები, ხოლო, მოსავლის აღების შემდეგ – საბოლოო მონაცემები;
- ნათესების ფართობები კულტურების მიხედვით – წლიური;
- აგრეგირებული ნათესი ფართობი – ყოველკვირეული;
- პირუტყვის რაოდენობა – წლიური;
- სოფლის მეურნეობის სექტორის კომპანიების ნუსხა – წლიური;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და აღჭურვილობა – წლიური;
- ინფორმაცია საბაზრო ფასების შესახებ – ყოველკვირეული.

სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები მონაცემებს აგროვებენ კულტურების მოყვანის სეზონის განმავლობაში და გზავნიან სამინისტროში: i) სიმინდის საპროგნოზო მოსავლიანობის გამოკვლევა ითვალისწინებს 4 ვიზიტს წინასწარ შერჩეულ მეურნეობებში; ii) სიმინდის ზრდა-განვითარების პროცესის გამოკვლევა - სეზონის განმავლობაში ყოველკვირეული

ანგარიშის წარდგენა მუნიციპალიტეტში სიმინდის ნათესი ფართობების არსებული მდგომარეობის შესახებ. ასევე, 2016-2017 წლებისთვის იგეგმება ვაშლის, ხორბლის, ციტრუსის, ატმის, ვაშლატამას, კარტოფილისა და თხილის საპროგნოზო მოსავლიანობის გამოკვლევა და ვაშლისა და კარტოფილის ზრდა-განვითარების პროცესის გამოკვლევა.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში FAO დახმარებას უწევს სამინისტროს საერთაშორისო კონსულტანტების მეშვეობით. ამ საკონსულტაციო მხარდაჭერის მიზანია, დაეხმაროს სამინისტროს არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ორგანიზებაში ისე, რომ ის გახდეს უკეთ გამოყენებადი ფაქტებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პოლიტიკის შესამუშავებლად. კონკრეტული მიზნები შემდეგია:

- ა) მონაცემთა ბაზების (ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების შესაძენი სტატისტიკური პლატფორმა, რომელსაც გააჩნია მონაცემთა შეტანა-გამოტანისა და ანგარიშების ინსტრუმენტები და ახალი მონაცემების დამატებისა და გავრცელების წინასწარ განსაზღვრული კალენდარი) ტექნიკური აღწერილობის მომზადება;
- ბ) სამინისტროს მიერ პერიოდულად გამოსაქვეყნებელი სტატისტიკური მონაცემების სტრუქტურისა და ფორმატის დიზაინის მომზადება.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოები პასუხისმგებელი არიან ხე-ტყის, წყლის, ჰაერის დაბინძურების, დაცული ტერიტორიებისა და სტიქიური მოვლენების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაზე. სამინისტროში სტატისტიკის წარმოებაზე 25 თანამშრომელი მუშაობს. მათგან 16 ეროვნული სატყეო სააგენტოს მთავარ ოფისში, ხოლო 9 - რეგიონულ ოფისებში. მთლიანობაში, 21 ადამიანი ხე-ტყის სტატისტიკაზე მუშაობს, 2 – ჰაერის და 1 – წყლის რესურსების. სამინისტროს ცენტრალურ ოფისში სტატისტიკურ საქმიანობას კოორდინაციას უწევს ერთი ადამიანი, თუმცა სტატისტიკა მისი საქმიანობის ძირითადი სფერო არ არის.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაზე, ქვეყნის ზოგადი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მომსახურებაზეა პასუხისმგებელი. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება სამინისტროს მოვალეობებში შედის. სამინისტროს აქვს პოტენციალი, გახდეს სოფლის განვითარების სტატისტიკის მნიშვნელოვანი წყარო.

სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკაზე პასუხისმგებელი სამი ძირითადი უწყების (საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) შესაძლებლობების, მათი ფინანსური და ადამიანური რესურსების ინდიკატორები მოცემულია დანართში 1.

2.3. სტატისტიკური პროდუქტის შეფასება

2.3.1. აღწერები

მოსახლეობის და საცხოვრისების, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკურ აღწერებზე პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს საქსტატი. 2010 წელს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) დახმარებით საქსტატმა სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერა განახორციელა.

აღწერამ მოიცვა ყველა დასახლებული სოფელი, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. აღწერაში მონაწილეობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი (NORC). NORC-ის ექსპერტთა რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა, როგორც აღწერის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში, ასევე კითხვარების მომზადების დროს. აღწერამ მოიცვა შემდეგი საკითხები: ბუნებრივი აირის მიწოდება, ელექტრომომარაგება, წყლის მიწოდება, კანალიზაციის სისტემები, საირიგაციო სისტემები და სხვა მნიშვნელოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობა.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, მოსახლეობის პირველი აღწერა საქართველოში მე-7 საუკუნეში ჩატარდა. ისტორიული წყაროები მე-11 და მე-13 საუკუნეებში ჩატარებულ აღწერებზეც მოგვითხრობენ. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში პირველი აღწერა 1897 წელს განხორციელდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დროს 6 საყოველთაო აღწერა არის ჩატარებული (1926, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წწ). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველი ეროვნული აღწერა 2002 წელს ჩატარდა. მოსახლეობის მეორე აღწერა და მასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014 წელს განხორციელდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2002 და 2014 წლების აღწერები ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ ვრცელდებოდა. 2014 წლის აღწერის დროს შეგროვდა დემოგრაფიული მონაცემები, ასევე ინფორმაცია საცხოვრისების, მოსახლეობის განათლების, სამუშაო ძალის, მიგრაციის, სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის სხვა მახასიათებლების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, 2014 წლის აღწერის სავსელე სამუშაოების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით, რეგიონში ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ციფრული კარტოგრაფირება (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები - GIS). ერთი წლით ადრე, სავსელე სამუშაოების დაგეგმვის მიზნით 2013 წელს, განხორციელდა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების სიების შედგენა.

პირველი შედეგები, რომლებიც მოსახლეობის რიცხოვნობას თვითმმართველი ერთეულების მიხედვით აჩვენებს, 2015 წლის აპრილში გამოქვეყნდა, ხოლო საბოლოო შედეგების გავრცელების ვადაა 2016 წლის აპრილი.

პირველი სასოფლო-სამეურნეო აღწერა საქართველოში 2004 წელს ჩატარდა. აღწერამ მოიცვა ყველა სოფელი და ქალაქი (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), თუმცა მასში არ შევიდა 5 დიდი ქალაქი. 2014 წელს მოსახლეობის აღწერასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო აღწერაც ჩატარდა, რომელმაც ყველა სოფელი და ქალაქი მოიცვა (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა). გარდა ამისა, 2015 წლის გაზაფხულზე აღწერა იურიდიული პირებისთვისაც ჩატარდა (სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ა.შ.). აღწერის მეთოდოლოგია FAO-ს სახელმძღვანელო პრინციპების (ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერებისა და გამოკვლევების სისტემა – სასოფლო-სამეურნეო აღწერის მსოფლიო პროგრამა, 2010 წ) შესაბამისად მომზადდა. იგი მოიცავს მონაცემებს მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწისა და მისი სტრუქტურის, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების, სათბურების, ირიგაციის, მრავალწლოვანი ნარგავების ძირთა რაოდენობის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ფუტკრის ოჯახების რაოდენობის, აკვაკულტურის წყალსატევების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობების შესახებ. აღწერაში მეურნეობა განისაზღვრა, როგორც ეკონომიკური ერთეული (შინამეურნეობა ან იურიდიული პირი), რომელსაც სარგებლობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწა, ჰყავს პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი ან აქვს მრავალწლოვანი ნარგავი (სასოფლო-სამეურნეო), მიუხედავად მისი ზომისა და იურიდიული სტატუსისა. აღწერის წინასწარი შედეგები 2015 წლის აპრილში გამოქვეყნდა, ხოლო საბოლოო შედეგების (იურიდიული პირების აღწერის ჩათვლით) გამოქვეყნების ვადაა 2016 წლის აპრილი.

საქართველოში ეკონომიკური აღწერა არ ჩატარებულა. გარკვეული ქვეყნები, რეგულარულად ანახლებენ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. საქართველო ამ ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. საქსტატი ანახლებს თავის ინფორმაციას შიდა და გარე წყაროებიდან. საქსტატი, აგრეთვე, ატარებს ყოველთვიურ სატელეფონო ინტერვიუებს კომპიუტერის მეშვეობით (CATI) სამეწარმეო რეგისტრში დარეგისტრირებულ კომპანიებთან, რათა განაახლოს ინფორმაცია მათი სტატუსის, ეკონომიკური საქმიანობის ტიპის და კომპანიების იურიდიული და ფაქტიური მისამართების შესახებ. ეს გახლავთ ყოველთვიური გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავს შერჩევის ბაზისათვის ინფორმაციის განახლებას. რაც შეეხება გარე წყაროების მეშვეობით განახლებას, საქსტატი ყოველთვიურად იღებს ინფორმაციას ახლად დარეგისტრირებული საწარმოების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან და ყოველკვარტალურად, გადასახადის გადამხდელი აქტიური კომპანიების შესახებ - შემოსავლების სამსახურისგან.

2.3.2. მემცენარეობის სტატისტიკა

საქსტატი საქართველოში ერთადერთი სამსახურია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობის, მოსავლისა და წარმოების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელია. ამჟამად, საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმდინარე სტატისტიკის ძირითად წყაროს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა წარმოადგენს. გამოკვლევა FAO-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად ტარდება. სასოფლო მეურნეობების ახალი შერჩევა ყოველწლიურად ხორციელდება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მსხვილი მეურნეობები სრულად არის მოცული და ყოველ წელს გამოიკითხებიან. გამოკვლევა მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა). კვლევის თითოეული რაუნდი ერთ წელს ფარავს და ხუთი ინტერვიუსგან შედგება. სოფლის მეურნეობის სტატისტიკის შეგროვებაზე, დამუშავებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო. შერჩევა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ბაზის საფუძველზე ხორციელდებოდა და მისი ზომა 5 000-ს შეადგენდა.

საჭირო მონაცემის მიღების უზრუნველყოფისა და 2.1 პარაგრაფში ნახსენები ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საქსტატმა შერჩევის ზომა 5 000-დან 12 000-მდე გაზარდა და შერჩევის ბაზად სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014 გამოიყენა.

ერთწლიანი კულტურები მოიცავს: ხორბალს, ქერს, შვრიას, სიმინდს, ლობიოს, კარტოფილს, ბაღჩეულს, მრავალწლიანი ბალახების თივას, ერთწლიანი ბალახების თივას, ბოსტნეულს (პომიდორი, კიტრი, ჭარხალი, კომბოსტო, წიწკა, ნიორი, ხახვი, მწვანელი, სტაფილო, ბადრიჯანი და სხვ.). ხორბლის, ქერის, სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახების, ერთწლიანი ბალახებისა და ბოსტნეულის წარმოების მონაცემები რეგიონის დონეზეც არსებობს.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოების ყოველწლიური სტატისტიკა მოიცავს ხილს (ვაშლი, მსხალი, კომში, ქლიავი, ბალი და ალუბალი, გარგარი, ატამი, ტყემალი, კაკალი, თხილი, სუბტროპიკული ხილი, კენკროვნები, სხვა ხილი), ყურძენს, ციტრუსებს (მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი) და ჩაის. თითქმის ყველა ხილის (გარდა კომშის, გარგარის და კენკროვნების), ყურძნის, ციტრუსისა და ჩაის წარმოების სტატისტიკა არსებობს რეგიონის დონეზეც. წინასწარი მონაცემები ქვეყნდება მომდევნო წლის აპრილში, ხოლო საბოლოო – ივნისში.

საქსტატი აგროვებს მონაცემებს ასევე ერთწლიანი საშემოდგომო (ხორბალი, ქერი) და საგაზაფხულო კულტურების (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი, პარკოსანი კულტურები) ნათესი ფართობების შესახებ. საშემოდგომო კულტურების ნათესი ფართობი, მოიცავს წინა წლის შემოდგომაზე საშემოდგომო კულტურებით დაკავებულ ფართობს, საიდანაც მოსავლის აღება მიმდინარე წელს განხორციელდა. ინფორმაცია ხორბლის, ქერის, სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახების, ერთწლიანი ბალახებისა და ბოსტნეულის ნათესი ფართობის შესახებ არსებობს რეგიონის დონეზე. საშემოდგომო კულტურების შესახებ ექსპრეს მონაცემები ქვეყნდება მარტში, ხოლო საგაზაფხულო კულტურების შესახებ - სექტემბერში.

2.3.3. მეცხოველეობის სტატისტიკა

პირუტყვის სულადობის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების (საშუალო მაჩვენებლების ჩათვლით), ნამატისა და დაცემის შესახებ ინფორმაციის წყაროა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა. მონაცემები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შესახებ ქვეყნდება კვარტალურად (გარდა მეფუტკრეობისა).

პირუტყვის (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის) წლიური რაოდენობა მოცემულია ათასი სულით, ხოლო ფუტკრის – ათასი სკით. მონაცემები ხელმისაწვდომია რეგიონის დონეზე. მეცხოველეობის პროდუქციის წლიური წარმოება მოიცავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველისა და სხვა ხორცს, ასევე, რძეს (ცხვრისა და თხის რძის ჩათვლით), კვერცხს, მატყლსა და თაფლს. ყველა ეს მონაცემი აგრეთვე რეგიონის დონეზეა ხელმისაწვდომი. კვარტალურად ქვეყნდება მონაცემები ხორცის (აგრეგირებული), რძისა და კვერცხის შესახებ ქვეყნის დონეზე. ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობა (ლიტრი/წელი) რეგიონების მიხედვით და საშუალო ნაპარსი ერთ ცხვარზე (კგ/წელი) რეგიონის მიხედვით ქვეყნდება ყოველწლიურად.

საქსტატი ასევე აწარმოებს წლიურ მონაცემებს ხბოსა და ზაქის ნამატის შესახებ, ხბოსა და ზაქის საშუალო ნამატის შესახებ 100 დედა პირუტყვისაგან, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემის შესახებ, გოჭის ნამატის შესახებ, გოჭის საშუალო ნამატის შესახებ 100 დედა ღორზე, ღორის დაცემის შესახებ, თივნისა და ბატვნის ნამატის შესახებ, თივნისა და ბატვნის საშუალო ნამატის შესახებ 100 დედა პირუტყვისაგან, ცხვრისა და თხის დაცემის შესახებ რეგიონების მიხედვით.

2.3.4. სხვა სასოფლო-სამეურნეო მონაცემები

ყოველწლიურ პუბლიკაციაში საქსტატს აგრეთვე შეაქვს ზოგადი ინფორმაცია სოფლის მეურნეობის შესახებ, რომელიც მოიცავს შემდეგ მონაცემებს: სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისათვის, მშპ-ს სტრუქტურა, სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყვეობისა და თევზჭერის პროდუქციის გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებითი ღირებულება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, მემცენარეობის, მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წლიური გამოშვების მოცულობის ინდექსები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე, სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასები, ძირითადი სასურსათო

პროდუქტების საშუალო წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსები, სასოფლო მეურნეობების მიერ გამოყენებული მინერალური სასუქები რეგიონების მიხედვით, მინერალური სასუქებით განოყიერებული ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები რეგიონების მიხედვით, მინერალური სასუქებით განოყიერებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი რეგიონების მიხედვით, პესტიციდებით დამუშავებული ერთწლიანი კულტურების ფართობები რეგიონების მიხედვით, პესტიციდებით დამუშავებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობები რეგიონების მიხედვით.

საქსტატი აგრეთვე აქვეყნებს წლიურ ინფორმაციას სასურსათო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც მოიცავს: სურსათის წარმოებას, სურსათის იმპორტსა და ექსპორტს, სურსათის ფასებს, სასურსათო ბალანსებსა და სურსათზე გაწეული ხარჯების წილს მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში.

საქსტატის ახალი გამოკვლევები. 2015 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნით, საქსტატმა დაასრულა მოსამზადებელი სამუშაოები და დაიწყო სავსე სამუშაოები სამი ახალი გამოკვლევის ჩასატარებლად: სასაკლაობის, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევა. შედეგები ხელმისაწვდომი იქნება 2016 წელს.

2017 წლიდან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნითა და დახმარებით, საქსტატი აპირებს, მუშაობა დაიწყოს სამ ახალ გამოკვლევაზე: აკვაკულტურების, სასათბურე მეურნეობების და ფერმების მთლიანი მარჟის შესახებ. კვლევების ჩატარება აღწერის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ არის დაგეგმილი. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის კითხვარში ჩართული იყო კითხვა აკვაკულტურის შესახებ.

ამას გარდა, 2016 წელს საქსტატი განახორციელებს წყალმომარაგების კომპანიების საპილოტე გამოკვლევას წყლის მიწოდებისა და დანაკარგების, ასევე მომხმარებლების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

2016 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ENPARD-ის შესაძლო დახმარებით, უნდა განახორციელოს ვაშლის, ციტრუსების, სიმინდისა და ხორბლის მოსავლიანობის შეფასების გამოკვლევა მათ მწარმოებელ ძირითად რეგიონებში. 2016 წელს უნდა შემუშავდეს და დაიტესტოს გამოკვლევის პროცედურები თხილის, ვაშლატამას, ატმისა და კარტოფილის მოსავლიანობის შესახებ, ხოლო თავად გამოკვლევა 2017 წელს უნდა ჩატარდეს. ასეთივე გამოკვლევა სხვა მნიშვნელოვანი კულტურებისთვისაც უნდა განხორციელდეს, მაგალითად – ყურძნისთვის.

სიმინდის მოსავლის შეფასების გამოკვლევა მისი მოყვანის სეზონის განმავლობაში განხორციელდება საქართველოს სიმინდის მწარმოებელ ძირითად რეგიონებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები სიმინდის მოყვანის სეზონის განმავლობაში ყოველთვიურად შეაგროვებენ მონაცემებს და მიაწვდიან სამინისტროს. რაც შეეხება კულტურის მდგომარეობისა და პროგრესის შესახებ გამოკვლევებს, ინფორმაციას საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები სეზონის განმავლობაში ყოველკვირეულად წარუდგენენ სამინისტროს. ვაშლის, ხორბლისა და ციტრუსის მოსავლის შეფასების გამოკვლევა და სხვა კულტურების საპილოტე გამოკვლევები 2016 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩატარდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამომავლოდ გეგმავს ფერმერული მეურნეობების, ფერმების წარმოების დანახარჯების, ხილის ჯიშებისა და ბოსტნეულის გამოკვლევებს. ყველა ეს გამოკვლევა USDA-NASS-ის ტექნიკური დახმარებით ჩატარდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის

მემცენარეობის კულტურების წარმოების შესახებ ზუსტი და დროული მონაცემების ქონა პოლიტიკის განსაზღვრისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია. მემცენარეობა სამინისტროსთვის უმთავრესი პრიორიტეტია.

2.3.5. ტყის სტატისტიკა

ტყის სტატისტიკის წარმოება ყოველწლიურად ხორციელდება. საქსტატისთვის ტყის სტატისტიკის მონაცემთა წყაროს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ხორციელდება ეროვნული სატყეო სააგენტოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტოსა (რომელიც არ არის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება) და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. ეს უწყებები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. სამინისტრო მონაცემებს იღებს თავისი სააგენტოებისგან და აწვდის საქსტატს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმში განსაზღვრული ვადების შესაბამისად. ყოველწლიური პუბლიკაცია ხე-ტყის შესახებ შემდეგ სტატისტიკურ ინფორმაციას მოიცავს: საქართველოს ტყის ფონდის ფართობი რეგიონების მიხედვით, ტყით დაფარული ფართობი, ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასაქმებულთა რაოდენობა, ეროვნული სატყეო სააგენტოს საოპერაციო დანახარჯები, ტყის ხანძრები, ტყის აღდგენა რეგიონების მიხედვით, ტყის თესვა და დარგვა, ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა, ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა, ტყის უკანონო ჭრა და დაუმუშავებელი ხე-ტყის იმპორტი და ექსპორტი. ზოგი მონაცემი ხელმისაწვდომია 1995 წლიდან, ნაწილი კი 2000 ან 2001 წლიდან.

2.3.6. წყლის და სხვა გარემოსდაცვითი სტატისტიკა

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წყლის, ჰაერის დაბინძურების, დაცული ტერიტორიებისა და სტიქიური მოვლენების სტატისტიკისთვის ადმინისტრაციულ წყაროს წარმოადგენს. საქსტატის ყოველწლიურ პუბლიკაციაში შემდეგი ინფორმაცია მოიპოვება: საქართველოს დიდი და საშუალო მდინარეები (სიგრძე და აუზის ფართობი), საქართველოს ძირითადი ტბები და წყალსაცავები (სარკის ფართობი, წყლის მოცულობა და სიღრმე), წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები, წყლის აღების, გამოყენებისა და ჩამდინარე წყლის ჩაშვების მაჩვენებლები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამფრქვევი სტაციონარული წყაროების რაოდენობა, ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები სახეობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები სახეობების მიხედვით, სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეული, დაჭერილი და გაუვნებელყოფილი მავნე ნივთიერებები რეგიონების მიხედვით, საქართველოს დაცული ტერიტორიების სტრუქტურა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, საქართველოს დაცული ტერიტორიები კატეგორიების, მათში დაცული ცხოველების და ფრინველების რაოდენობის, მათ შუნახვაზე გაწეული ხარჯების და თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით, გეოლოგიური მოვლენების (მეწყერი, ღვარცოფი) ინტენსივობა, მათგან მიყენებული მიახლოებითი ზარალი, ადამიანთა მსხვერპლი და საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული ობიექტები, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების რაოდენობა თვეების მიხედვით.

2.3.7. მიწათსარგებლობის სტატისტიკა

უახლესი მონაცემები მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ არ მოიპოვება. ბოლო მონაცემები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობებითა და ეზოებით დაკავებული მიწები, არასასოფლო-სამეურნეო მიწები) საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2004 წელს შეგროვდა და მისი ნახვა შესაძლებელია საქსტატის ყოველწლიურ პუბლიკაციაში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა“.

2.3.8. სოფლის განვითარების სტატისტიკა

სოფლის განვითარების სტატისტიკა მრავალი წყაროდან მიიღება. მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერა გვაწვდის ინფორმაციას საცხოვრებელი პირობებისა და ისეთი მომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ, როგორცაა წყალმომარაგება, ელექტროენერგია და კომუნიკაციები. 2014 წლის აღწერა განახლებულ ინფორმაციას მოგვაწვდის. ზოგიერთი მონაცემი სოფლის ინფრასტრუქტურის შესახებ მუნიციპალურ დონეზე მოიპოვება, მაგალითად, საავტომობილო გზები და რკინიგზა. გარდა ამისა, მუნიციპალურ დონეზე არსებობს ინფორმაცია ისეთ ადგილობრივ მომსახურებებზე, როგორებიცაა კანალიზაცია, წყალმომარაგება და ა.შ. 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა მოგვაწვდის ინფორმაციას საირიგაციო ინფრასტრუქტურის შესახებ, მუნიციპალურ დონეზე. საქართველოს მთავრობა მუშაობს სოფლის განვითარების სტრატეგიაზე, სადაც განისაზღვრება სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული საჭირო მონაცემები. ეს მონაცემები, სავარაუდოდ, მოიცავს დემოგრაფიას, განათლებას, ინფრასტრუქტურას (გზების ჩათვლით), ჯანდაცვას, შრომას, სიღარიბეს, ტურიზმს (ტურისტებისა და მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობა), შემოსავლებსა და ხარჯებს.

2.3.9. სხვა სტატისტიკა

საქსტატი აწარმოებს სამომხმარებლო ფასების ინდექსს, რომელიც ყოველთვიურად ქვეყნდება ოთხ განსხვავებულ საბაზო პერიოდთან მიმართებაში: წინა თვესთან, წინა წლის შესაბამის თვესთან, 12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან და 2010 წლის საშუალოსთან (2010=100). არ არსებობს ინდექსი სასოფლო-სამეურნეო მასალების ფასების მონიტორინგისთვის. საქართველოში არ იწარმოება ასევე საბითუმო ფასების ინდექსი. ცალკე არ იწარმოება სამრეწველო ფასების ინდექსი მემცენარეობისთვის, მეცხოველეობისთვის ან მეთევზეობისთვის. საქსტატი აწარმოებს ოთხ განსხვავებულ ყოველთვიურ სამრეწველო ფასების ინდექსს: i) სამრეწველო პროდუქციისთვის (ინფორმაცია გროვდება 500-მდე კომპანიისგან); ii) მშენებლობისთვის შეძენილი მასალებისთვის (ინფორმაცია გროვდება 200-ზე მეტი კომპანიისგან), iii) სატვირთო გადაზიდვებისთვის (ინფორმაცია გროვდება 130-ზე მეტი კომპანიისგან), და iv) საექსპორტო ფასების ინდექსი (ინფორმაცია გროვდება 120-ზე მეტი კომპანიისგან). იმპორტის ფასების ინდექსის გასაანგარიშებლად საქსტატმა 2015 წლიდან საპილოტე გამოკვლევა დაიწყო. 2016 წელს კვლევაში 300-მდე კომპანია მონაწილეობს. 2017 წლიდან ინდექსი ოფიციალურად გამოქვეყნდება. 2008-2010 წლების განმავლობაში საქსტატი ახორციელებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების ინდექსის საცდელ კვლევას.

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკას აწარმოებს საქსტატი. ეს სტატისტიკა ეფუძნება ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო კლასიფიკაციას (HS 2012), საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მე-4 რედაქციასა და ფართო ეკონომიკური კატეგორიების

(BEC) კლასიფიკაციას. იმპორტისა და ექსპორტის მონაცემებს საქსტატი ძირითადად შემოსავლების სამსახურისგან (საბაჟო) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აქვეყნებს. საქსტატი ყოველთვიური სტატისტიკის დაჯგუფებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით ახდენს: (i) იმპორტი ღირებულების, მოვაჭრე ქვეყნისა და ძირითადი სასაქონლო ჯგუფების (ზემოაღნიშნული კლასიფიკაციების საფუძველზე) მიხედვით და (ii) ექსპორტი ღირებულების, საბოლოო დანიშნულების ქვეყნის და ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

შინამეურნეობების ყოველკვარტალური ინტეგრირებული გამოკვლევა სამუშაო ძალისა და შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევებს აერთიანებს. შერჩევის ზომა დაახლოებით 3 400 შინამეურნეობაა 1,2 მილიონიდან. შერჩევა 2002 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე ხორციელდება. 2014 წლის აღწერა ამ კვლევიდან მიღებული მონაცემების ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. გამოკვლევა 1996 წლიდან ტარდება და იგი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). სამუშაო ძალის კვლევის მოდული შრომით ბაზარზე არსებულ ტენდენციებს, დასაქმებისა და უმუშევრობის მასშტაბებსა და მახასიათებლებს ზომავს. გამოკვლევა კვარტალურად ტარდება, მაგრამ შერჩევის ზომის სიმცირის გამო, საქსტატი მხოლოდ წლიურ მონაცემებს აქვეყნებს. სამუშაო ძალის შესახებ მონაცემები მიიღება, ასევე, სხვა ყოველკვარტალური გამოკვლევებიდან (საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა და არაკომერციული ორგანიზაციებისა და ფინანსური კორპორაციების გამოკვლევა). გარდა ამისა, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა აგროვებს მონაცემებს დემოგრაფიაზე, განათლებაზე, შინამეურნეობების ხარჯებსა და შემოსავლებზე, ხანგრძლივი მოხმარების საგნების საკუთრებაზე, საცხოვრებელ პირობებზე და მიწისა და პირუტყვის საკუთრებაზე. 2017 წლიდან საქსტატი აღნიშნული გამოკვლევის ორ დამოუკიდებელ ნაწილად დაყოფას გეგმავს – სამუშაო ძალის გამოკვლევად და შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევად.

საქსტატმა, აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა აქტივების საკუთრებისა და მეწარმეობის გამოკვლევა გენდერულ ჭრილში. გამოკვლევა შემდეგ მოდულებს მოიცავს: საცხოვრისი, სასოფლო-სამეურნეო მიწები, პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობა, საწარმო და საწარმოს აქტივები, უძრავი ქონება, ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებები და ძვირფასეულობა. გამოკვლევა ჩატარდება პროექტის „გაეროს მონაცემები გენდერული თანასწორობისთვის“ (EDGE) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. რადგან აქტივების უმრავლესობას ინდივიდები ფლობენ (განცალკევებულად ან ერთობლივად), მონაცემები ინდივიდუალურ დონეზე სამი მიმართულებისთვის უკეთეს და უფრო სანდო შედეგს გვაძლევს, ვიდრე შინამეურნეობის დონეზე ჩატარებული გამოკვლევა. ეს სამი მიმართულებაა: (1) ქალთა გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღება; (2) შემოსავლის წყაროები (მეწარმეობის ჩათვლით); და (3) სიღარიბისა და მოწყვლადობის შემცირება. ჯერჯერობით, აქტივების ინდივიდუალური საკუთრების შესახებ შედარებით მცირე რაოდენობის მონაცემები არსებობს. გამოკვლევის შერჩევის ზომა დაახლოებით 3 200 შინამეურნეობაა. ინტერვიუ შერჩეული შინამეურნეობების სამამდე ზრდასრულ წევრთან ჩატარდა.

2.4. SWOT ანალიზის ძირითადი შედეგები

SPAERS-ის პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე ქვეყნის დეტალური შეფასება (IdCA) მომზადდა. 2015 წლის IdCA-ს ანგარიში მოიცავს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის სისტემის, ისევე, როგორც თითოეული სამი ქვესექტორის (მემცენარეობა და მეცხოველეობა,

სატყეო მეურნეობა, თევზჭერა და აკვაკულტურა) SWOT ანალიზს. შედეგები მოცემულია დანართში 2.

თავი 3. გამოწვევები და პრობლემები

საქსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკა მემცენარეობისა და მეცხოველეობის შესახებ სანდოდ ითვლება და, ზოგადად, ხარისხიც მისაღებია. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მეთოდოლოგია საჯაროა და განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე. როგორც უკვე ითქვა, ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგიისა და პროცედურების შესახებ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია. ამჟამად, არ ქვეყნდება ინფორმაცია შეფასებების შერჩევითი ცდომილებების და გამოკვლევის პროცესში გამოვლენილი ტექნიკური საკითხების შესახებ. თუმცა, არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელზეც ყურადღებას ამახვილებენ მომხმარებლები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- სტატისტიკის გავრცელების ვადები: წინასწარი წლიური მონაცემები ქვეყნდება აპრილში, ხოლო, საბოლოო – ივნისში. მომხმარებელთა ნაწილი გამოხატავს უკმაყოფილებას, რომ მონაცემების გამოქვეყნება დაგვიანებულია;
- მუნიციპალური მონაცემების და ზოგიერთი რეგიონული მონაცემის არარსებობა. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ჩარჩოს განახლება ჯერ კიდევ მთავარ პრობლემად რჩება. შერჩევის ზომა 5 000-ია მაშინ, როცა მეურნეობათა საერთო რიცხვი 815 000-ს აღემატება. შერჩევა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას ეფუძნება;
- საქართველოში არ არსებობს ფერმერთა რეგისტრი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქსტატთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ფერმებისა და სხვა საჭირო რეგისტრების შექმნას გეგმავს;
- მიწებისა და მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემები მოძველებულია. ბოლოს ისინი საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2004 წელს გამოქვეყნდა;
- არსებობს ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება;
- სოფლის არასაკმარისი სტატისტიკა;
- საქართველოში არ არსებობს თევზჭერის სტატისტიკა. ზოგიერთი მომხმარებელი, მათ შორის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ითხოვს ამ მონაცემებს, მაგრამ ქვეყანაში არ არსებობს აღნიშნული სტატისტიკის შეგროვების გამოცდილება;
- განახლებული კითხვარების, ტექნიკური და მეთოდოლოგიური უნარების ნაკლებობა ტყისა და გარემოს სტატისტიკის სხვა სფეროში. მრავალი შეკითხვა არსებობს საქართველოში მეტყვევების მონაცემთა ხარისხის შესახებ. მეთოდოლოგიაც მოითხოვს განხილვას. არ არსებობს ბაღებში ან კერძო მიწებზე მოპოვებული მერქნის მოცულობის გაზომვის სტატისტიკური სისტემა (ამის გაკეთება არცერთ უწყებას ევალებოდა). საქართველოში არ არსებობს სამერქნო და არასამერქნო ტყის ნაწარმის შესახებ მონაცემები. ეს უდიდესი ხარვეზია ეროვნული ანგარიშების სტატისტიკისთვის, გასაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეშა საკვების მომზადების პროცესში. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა იძლევა გარკვეულ ინფორმაციას შეშის მოხმარების შესახებ.

თავი 4. ამოცანები

წინამდებარე თავში ჩვენ განვსაზღვრავთ საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის ფართო ხედვას, ძირითად სტრატეგიულ ამოცანებსა და ხუთწლიან პერიოდში (2020 წლამდე) მისაღწევ შედეგებს, ასევე, უფრო დეტალურ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ზემოხსენებული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. გეგმა განსაზღვრავს, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მონაცემთა ძირითადმა მწარმოებლებმა – საქსტატმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ. ასევე, ჩამოყალიბებულია ზოგიერთი ქმედება, რომელიც ზოგადად სტატისტიკის ეროვნული სისტემის დონეზე იქნება განსახორციელებელი.

4.1. ხედვა და მისია

სტრატეგიის ხედვით, საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სისტემამ უნდა გააერთიანოს ის ინსტიტუტები, პროცესები და ინფრასტრუქტურა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მთავრობისა და სხვა მომხმარებლებისთვის სტატისტიკური ფაქტების მიწოდებაში ისე, რომ მხარი დაუჭიროს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის განვითარებას, ეფექტურად და ეფექტიანად გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი რესურსი და დაეხმაროს ქვეყანას, შეასრულოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ აღებული ვალდებულება სტატისტიკური მონაცემების მიწოდების მიმართულებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკური სისტემა გამოხატავს მზადყოფნას, იმართებოდეს ღია და ანგარიშვალდებული უწყებების მიერ, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება რესურსები (ახალი ტექნოლოგიების ჩათვლით) სოფლის მეურნეობისა და სოფლის სტატისტიკის უფრო ფართომასშტაბიანი გამოყენებისთვის ეროვნული განვითარებისთვის მხარდასაჭერად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკური სისტემის მისია განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, რომელიც გულისხმობს “ოფიციალური სტატისტიკის გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის შესაბამისად, აგრეთვე, სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფას.”

ოფიციალური სტატისტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, სტატისტიკური სისტემის თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის მიღწევის მიზნით, სტატისტიკის მწარმოებელ უწყებებს შორის ეფექტიანი ეროვნული კოორდინაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

4.2. სტრატეგიული მიზნები და შედეგები

მისიის შესრულებისა და ხედვის მიღწევის მიზნით, საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს სტატისტიკური სისტემის ყველა პარტნიორი უწყება უნდა შეთანხმდეს სტრატეგიულ მიზნებზე. საბოლოო მიზანია უკეთესი სტატისტიკური მონაცემების წარმოება ისეთი ფორმით, რომელიც ხელს შეუწყობს მათ გამოყენებას ყველა დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესებში. რესურსების სიმწირის გამო, საქმიანობის არეალის გაფართოება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ლიმიტირებულია ბიუჯეტი, ასევე, შეზღუდულია ახალი თანამშრომლების დაქირავების

შესაძლებლობები და ის მოთხოვნები, რომლებსაც სტატისტიკური სისტემა რესპონდენტებს უყენებს.

სტრატეგიული ამოცანები და დეტალური სამოქმედო გეგმა ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს: (i) კოორდინაცია და მართვა; (ii) მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება; (iii) ინვესტირება ადამიანურ რესურსებში; (iv) ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და (v) სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და რეგისტრების შექმნა/განვითარება. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის საჭირო კონკრეტული მიზნებისა და ინდიკატორების შესახებ მოცემულია მე-9 თავში.

4.3. სამოქმედო გეგმა

4.3.1. კოორდინაცია და მართვა

როგორც ქვეპარაგრაფ 2.2.2-ში აღინიშნა, ამჟამად, საქართველოს სტატისტიკის სისტემა ცენტრალიზებულია. საქსტატი, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად (რომელიც პასუხისმგებელია გარკვეული ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის წარმოებაზე), ერთადერთი უწყებაა, რომელსაც ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და გამოქვეყნების უფლება და შესაძლებლობა გააჩნია. სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები აგროვებენ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის სფეროში, სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან, მაგრამ ამ ინფორმაციის ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისათვის გამოყენება საქსტატის კომპეტენციას წარმოადგენს. თუმცა, კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ მოიცავს დებულებებს (მუხლი 16), რომელთა მიხედვით სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებსაც შეუძლიათ, აწარმოონ ოფიციალური სტატისტიკა, საქსტატის საბჭოს მიერ აღიარებული და დამტკიცებული სტანდარტებისა და წესების შესაბამისად.

სტრატეგიის ხედვის რეალიზაციისთვის და, კერძოდ, სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის, აუცილებელი იქნება ყველა ხელმისაწვდომი ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. შესაბამისად, SPAERS-ის უმნიშვნელოვანეს ელემენტს 2020 წლისთვის საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის შეგროვების, დამუშავების, გავრცელებისა და გამოყენების კოორდინირებული სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. მჭიდრო თანამშრომლობის, საქმიანობის კოორდინაციისა და ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის (რომელიც სამივე უწყების შედარებით უპირატესობებს გაითვალისწინებს) გარეშე შეუძლებელი იქნება სათანადო ხარისხის სტატისტიკის უზრუნველყოფა.

საქსტატი ახორციელებს ერთობლივ პროექტებს შვედეთის სტატისტიკის სამსახურსა და პოლონეთის სტატისტიკის ცენტრალურ სამსახურთან ერთად. გარემოს სტატისტიკა ამ პროექტების ნაწილს წარმოადგენს. პროექტების ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებსა და მისიებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროც მონაწილეობს. ეს ორივე უწყების შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა და ხელს უწყობს კოორდინაციას საქსტატსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის.

შესაბამისად, სტრატეგია მიზნად ისახავს 2020 წლისთვის სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის კოორდინირებული სისტემის შექმნას, რომელსაც შემდეგი მახასიათებლები ექნება:

- სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები პასუხისმგებელი იქნებიან ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებზე დაფუძნებული სტატისტიკის წარმოებაზე იმ სფეროებში, რომლებშიც ამ უწყებებს სპეციფიკური ტექნიკური კომპეტენციები აქვთ, და რომლებიც ძირითადი პოლიტიკური მიზნების მიღწევის პროცესის მონიტორინგისთვის არის მნიშვნელოვანი;
- ის სტანდარტები და წესები, რომლებიც გამოყენებული იქნება მაჩვენებლებისა და მონაცემთა მწკრივების საწარმოებლად, შეთანხმებული იქნება საქსტატთან და დამტკიცდება საბჭოს მიერ. სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები თავიანთი სისტემების ფარგლებში შექმნიან დამოუკიდებელ სტატისტიკურ ქვედანაყოფებს;
- საჭიროებების მიხედვით მომზადდება საქსტატსა და ორ უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმალური პროცედურები „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონის 16.2 მუხლის შესაბამისად;
- სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების სტატისტიკოსი თანამშრომლები იმოქმედებენ ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ საქსტატისგან ტექნიკურ (ტრენინგები) და პროფესიულ დახმარებას;
- წლიურ ანგარიშს სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის კოორდინირებული სისტემის საქმიანობის შესახებ მოამზადებს და გამოაქვეყნებს საქსტატი, თავისი რეგულარული წლიური ანგარიშის ფარგლებში, საბჭოს მიერ ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ;
- მონაცემთა მომხმარებლებთან გაიმართება რეგულარული კონსულტაციები და აზრთა გაცვლა. ეს მოხდება შეხვედრების ან სხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზების გზით.
- სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს შეუძლიათ, დაამუშაონ სხვა მაჩვენებლები და მონაცემები საკუთარი ხელმძღვანელობისთვის წარსადგენად, მაგრამ ისინი არ დაექვემდებარება გამოქვეყნებას, როგორც ოფიციალური სტატისტიკა;
- ორივე უწყება მჭიდროდ ითანამშრომლებს საქსტატთან, ადმინისტრაციული და სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების მოცვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნული შედეგების მისაღწევად აუცილებელია გარკვეული ქმედებების განხორციელება, რომლებიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2016-2018 წლებში საქსტატი მოიწვევს ტექნიკურ სამუშაო ჯგუფს სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით. ჯგუფი შეარჩევს პრიორიტეტულ ინდიკატორებს და მონაცემთა მწკრივებს, ასევე, შეაფასებს მათ შესაბამისობას ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსში გაწერილ ხარისხის კრიტერიუმებთან;
- 2016-2017 წლებში საქსტატი ხარისხის მიმართულებით ტექნიკურ დახმარებას (ტრენინგები) გაუწევს სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების თანამშრომლებს;
- 2017 წლის ბოლოსთვის მომზადებული და შეთანხმებული იქნება სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა;

- 2016 წლის ბოლოსთვის ტექნიკური სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს სატრენინგო პროგრამას სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების სტატისტიკოსი თანამშრომლებისთვის;
- 2017 წლის ბოლოსთვის სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებში განხორციელებული სტატისტიკური სამუშაოები შესაბამისობაში იქნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებთან;
- შერჩეული პრიორიტეტული ინდიკატორებისა და მონაცემთა მწკრივების ტექნიკური მახასიათებლები და სტანდარტები 2017 წლის ბოლოსთვის განსაზღვრული და დამტკიცებული იქნება საქსტატის საბჭოს მიერ. საბოლოოდ, სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები გაავრცელებენ ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებზე დაფუძნებულ ოფიციალურ სტატისტიკას.

4.3.2. მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება და მონაცემთა დამუშავების პროცესის გაუმჯობესება

მონაცემების ჩამონათვალი, რომელზეც არსებობს მოთხოვნა, მე-6 დანართშია მოცემული. მოსალოდნელია, რომ მონაცემთა მომხმარებლების საჭიროებები მომავალი ხუთი წლის განმავლობაში შეიცვლება სოფლის მეურნეობის დარგში მოსალოდნელი ცვლილებების, ახალი ბაზრების გახსნისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად. შესაბამისად, იარსებებს ძირითადი მონაცემების დროდადრო განახლების საჭიროება და აუცილებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილებასთან ერთად, მოხდეს მონაცემთა დამუშავების პროცესების განვითარება და მოდიფიცირება.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ ინტეგრირებულ სოფლის მეურნეობის, გარემოს და სოფლის სტატისტიკურ სისტემას შეეძლოს უფრო გრძელვადიან ტენდენციებზე რეაგირება, რომლებიც ტექნოლოგიების ცვლილებითა და საქართველოს ზოგადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებით იქნება გამოწვეული. ცვლილებები, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალი ხუთი წლის მანძილზე ზეგავლენას მოახდენს სტატისტიკურ სისტემაზე, არის შემდეგი:

- სტატისტიკურ სისტემას დასჭირდება ადმინისტრაციული პროცესებიდან (რეგისტრები) და სხვა წყაროებიდან (მონაცემთა დისტანციური შეგროვების ჩათვლით) მიღებული მონაცემების უფრო ფართოდ გამოყენება და იგი ნაკლებად დაეყრდნობა გამოკვლევებს. ევროპისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება მთავრობის სამოქმედო არეალი და, შესაბამისად, ადმინისტრაციული მონაცემების (რეგისტრები) გამოყენების პოტენციალიც. ამავდროულად, ხელფასებისა და სხვა ხარჯების ზრდა ნიშნავს, რომ აღწერები და სტატისტიკური კვლევები მნიშვნელოვნად გამვირდება და სტატისტიკურ სისტემას მოუწევს, გახდეს უფრო რაციონალური და ხარჯეფექტური. თითქმის უდავოა, რომ ეს პროცესები საქართველოში სულ უფრო სწრაფად განვითარდება;
- მონაცემთა შეგროვებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ახალი ტექნოლოგიები; განსაკუთრებით ეს შეეხება ახალ შესაძლებლობებს იმ მონაცემთა გამოყენებაზე, რაც ადრე შეუძლებელი იყო. ეს გულისხმობს თანამგზავრული გამოსახულებების, მონაცემთა დისტანციური შეგროვებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებას ისეთი სფეროების მონიტორინგისთვის, როგორებიცაა მიწათსარგებლობა, ტყის საფარი და პირუტყვის რაოდენობა. გარდა ამისა, არსებობს მობილური ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის

გამოყენების ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუყენებელი პოტენციალი ისეთი სწრაფად ცვლადი მონაცემებისთვის, როგორცაა, მაგალითად, ფასები. რადგან ამჟამად შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა, რა ტექნოლოგიები იქნება ფართოდ გავრცელებული საქართველოში 2020 წელს, მნიშვნელოვანია, რომ სტატისტიკურ სისტემას შეეძლოს ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მათი უპირატესობების გამოყენება;

- მას შემდეგ, რაც დაიწება სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელება და ფერმერები სულ უფრო მასობრივად გადავლენ ბიზნეს საქმიანობაზე, უნდა გაჩნდეს მონაცემთა შეგროვების ახალი საშუალებები. ეს შეიძლება მოიცავდეს ონლაინ პროცესებს, რაც შეამცირებს ველზე მომუშავე ინტერვიუერებზე დაყრდნობის აუცილებლობას;
- ოფიციალური სტატისტიკის როლი ფერმერებისთვის, მეწარმეებისთვის, ინვესტორებისა და, ზოგადად, მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდების კუთხით, სავარაუდოდ, სულ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება, რომ სამივე უწყებამ განსაზღვროს ინფორმაციის გავრცელების ახალი გზები. ეს შესაძლოა გულისხმობდეს მუშაობას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნესთან, რომელთაც მონაცემების გაცვლის კუთხით შუამავლის როლის შესრულება შეუძლიათ. ისინი უწყებების მიერ მიწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს დაამუშავებენ და გაავრცელებენ სხვადასხვა ტიპის მომხმარებლისთვის გასაგებ ენაზე. იმისათვის, რომ ყოველივე ზემოთქმულმა წარმატებით იმუშაოს, სტატისტიკური სისტემა შეძლებისდაგვარად გახსნილი და გამჭვირვალე უნდა იყოს და იყენებდეს ღია მონაცემების (open data) პრინციპს;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გაავრცელებს ზეგავლენის მოხდენას ზოგადად სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარებაზე, რადგან იგი სტატისტიკის ეროვნული პოლიტიკისა და პრაქტიკის ESS-ის მოთხოვნებთან მაქსიმალურად დაახლოებას უზრუნველყოფს.

ამ ზოგადი ჩარჩოების ფარგლებში, სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს, 2020 წლისთვის სამი ძირითადი უწყების მონაწილეობით კოორდინირებული სტატისტიკური სისტემის არსებობას. ამ სისტემაში საქსტატი კვლავ იქნება მონაცემთა ძირითადი მწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფართომასშტაბიანი აღწერებისა და გამოკვლევების ჩატარების, მონაცემთა გავრცელებისა და მონაცემთა ეროვნული არქივის მართვის საკითხებზე. საქსტატი სისტემის საერთო კოორდინაციასაც განახორციელებს და უზრუნველყოფს, რომ ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ხორციელდებოდეს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. 2020 წლისთვის სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები გაზრდიან თავისი სტატისტიკური განყოფილებების შესაძლებლობებს და აწარმოებენ გარკვეულ ოფიციალურ სტატისტიკას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც შესაბამისობაში იქნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებთან და ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონთან. სოფლის მეურნეობის სამინისტრო განავითარებს კონკრეტულ საკითხებზე სტატისტიკური კვლევების ჩატარების შესაძლებლობებს, მაგრამ, ამავდროულად, სულ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცესებიდან მიღებული მონაცემების დაფარვის არეალისა და ხარისხის გაზრდას. სამინისტრო, აგრეთვე, იმუშავებს სოფლის მეურნეობის მონაცემებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზის მიმართულებით შესაძლებლობის გაძლიერებაზე, რათა გაუმჯობესდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იმუშავებს იმისათვის, რომ შექმნას და გააძლიეროს თავისი შესაძლებლობები ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების გამოყენებისა და ქვეყანაში არსებული გარემოსდაცვით და ბუნებრივ რესურსებთან

დაკავშირებული პრობლემების შესახებ ანგარიშების გაუმჯობესების მიმართულებით. იგი იმუშავებს მონაცემთა კონსოლიდირებული ბაზის შექმნაზე, რომელშიც თავს მოუყრის თავისი კონტროლის ქვეშ მყოფი სხვადასხვა სააგენტოდან მიღებულ მონაცემებს. სამინისტრო, აგრეთვე, მჭიდროდ ითანამშრომლებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ნარჩენების მართვის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით. სამინისტრო, აგრეთვე, იმუშავებს მონაცემთა დისტანციური შეგროვების (მაგ., ჰაერის დაბინძურებისა და წყლის ხარისხის შეფასების მაჩვენებელი) სადგურებიდან მიღებული მონაცემების უფრო ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ამჟამად, გარემოსდაცვითი მონაცემების მოცვა ძალიან შეზღუდულია და მონაცემების შეგროვება ქალაქის კითხვარების მეშვეობით ხორციელდება. თუმცა, მოსალოდნელია, რომ სტარტეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდება დაინტერესება გარემოს მონიტორინგის მიმართ და ბევრ ადგილას დაინერგება მონაცემთა ავტომატური დისტანციური მოზიდვა. აგრეთვე, არსებობს ახალი ტექნოლოგიების (მაგ., უპილოტო საფრენი აპარატების - დრონების) გამოყენების შესაძლებლობა ისეთი საქმიანობისთვის, როგორცაა ტყეებისა და დაცული ტერიტორიების მონიტორინგი. როცა აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დასამუშავებელი მონაცემების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება და მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს გააჩნდეს მათი მართვის შესაძლებლობა.

სამივე უწყება განახორციელებს სამუშაოებს, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს ზოგადი სტატისტიკური ბიზნეს პროცესის მოდელის (GSBPM, ფართოდ გამოიყენება ESS⁹-ში) დანერგვას ყველა სტატისტიკური პროცესისათვის. GSBPM განსაზღვრავს რვა ფაზას ყველა სტატისტიკური პროცესისთვის, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელებისთვის გამოიყენება. ეს მოიცავს მონაცემთა შეგროვების პროცესისა და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების შემუშავებას და ტესტირებას, მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს, გავრცელებასა და შეფასებას.

ზემოთ აღწერილი ფართო მიზნების მისაღწევად შემდეგი კონკრეტული ქმედებები უნდა განხორციელდეს:

საქსტატის მოკლევადიანი ქმედებები მიმართულია ახალი საჭიროებების შესაბამისად სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მოცვისა და ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ქმედებები მოიცავს:

- 2016 წელს – შერჩევის ბაზის განახლება 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების საფუძველზე;
- 2016 წელს – შერჩევის ზომის გაზრდა 5 000-დან 12 000-მდე;
- 2016 წლიდან – მჭიდრო თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებთან მათ მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პოტენციალის განსასაზღვრად;
- 2016 წელს – 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ძირითადი შედეგების გამოქვეყნება;
- 2016 წელს – მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება მონაცემთა არქივის შესაქმნელად, რომელშიც შევა სოფლის მეურნეობის კვლევებისა და აღწერების მონაცემები დაწყებული 2014

⁹დამატებითი ინფორმაცია იხ. მისამართზე:

<http://www1.unece.org/stat/platform/display/GSBPM/Generic+Statistical+Business+Process+Model>

წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერიდან. ასევე მკვლევარებისთვის შემდგომი ანალიზისთვის საჭირო ანონიმური მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- 2016 წელს – მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება მიკრომონაცემების გავრცელების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სისტემის შესაქმნელად;
- 2016 წელს – წყალმომარაგების კომპანიების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება, წყლის მიწოდებისა და დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით;
- 2018 წელს – 2017 წელს განხორციელებული ველის ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, კომპიუტერის მეშვეობით (ტაბლეტები) პერსონალური ინტერვიუების (CAPI) დანერგვა, რათა გაუმჯობესდეს კვლევის ხარისხი და შედეგების გავრცელების დროულობა;
- 2017-2018 წლებში – აკვაკულტურის, სასათბურე მეურნეობების და ფერმების მთლიანი მარჟის საპილოტე გამოკვლევების ჩატარება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემთხვევაში, ძირითადი ყურადღება მისი სტატისტიკური განყოფილების შესაძლებლობების გაძლიერებას და სოფლის მეურნეობის სტრატეგიის პროგრესის მონიტორინგისთვის საჭირო ძირითადი მაჩვენებლებისა და მონაცემთა მწკრივების შემუშავებას დაეთმობა. კონკრეტული ქმედებები მოიცავს:

- 2016 წელს – 2015 წელს განხორციელებული სავსე სამუშაოების შედეგების საფუძველზე 4 კულტურისთვის მოსავლიანობის გაზომვისა და მოსავლის შეფასების სისტემის შექმნა. დამატებითი კულტურები დაემატება ყოველწლიურად;
- 2016 წლის ბოლოსთვის - ფერმერთა რეგისტრის შექმნის პროცესის დასრულება;
- 2017 წელს - საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემის შექმნა მუნიციპალიტეტების დონეზე, რისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წელს დაიწყება;
- 2016 წელს – სოფლის განვითარების სტრატეგიის დასრულებისა და დამტკიცების შემდეგ, სოფლის განვითარების ძირითადი ინდიკატორების მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო მონაცემების განსაზღვრა და საქსტატთან აღნიშნული მონაცემების უზრუნველყოფის გზების განხილვა;
- 2017 წელს – მოსავლიანობისა და საბაზრო ფასების შესახებ სტატისტიკის წარმოება ოფიციალური სტატისტიკის პრინციპების შესაბამისად;
- 2017 წელს – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- 2017 წელს – საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის ნიადაგების გეოგრაფიული რუკების განახლების დასრულება;
- 2017 წლისთვის – მორწყული და აღდგენილი მიწების რეგისტრის შექმნა;
- 2017 წელს – FAO-ს დახმარებით, მონაცემთა ეროვნული პორტალის შექმნა, რომელშიც შევა სასოფლო-სამეურნეო და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლები და მონაცემთა მწკრივები;
- 2017 წელს – იმის განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება სოფლის განვითარების სტრატეგიის პროგრესის მონიტორინგის განხორციელება ბიზნეს საწარმოების გამოკითხვის, შრომის ბაზრის კვლევის, სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემების მეშვეობით;
- 2017 წელს – ინტეგრირებული გეო-რეფერირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მიზნით;
- 2018 წელს – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემის შექმნა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ძირითადი ყურადღება მონაცემთა წყაროს გაუმჯობესებას და ძირითადი მიმართულებებით (ჰაერის ხარისხი და ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცვლილება, ტყისა და მიწის რესურსების მართვა, სტიქიური მოვლენების ზეგავლენა, დაცული ტერიტორიები, ნარჩენების მართვა და წყლის ხარისხი) მონაცემთა დამუშავებისა და გავრცელების შესაძლებლობების გაძლიერებას დაეთმობა. კონკრეტული ქმედებები მოიცავს:

- 2017 წელს – სამინისტროში დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- 2017 წელს – საქსტატთან მჭიდრო თანამშრომლობით იმ მეთოდოლოგიებისა და კითხვარების განახლება, რომლებსაც სამინისტრო მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის საწარმოებლად იყენებს;
- 2018 წელს – ტყეების სრული რეგისტრისა და ყველა ძირითადი ტყიანი არეალის მართვის გეგმების შექმნა;
- 2017 წელს - საქსტატთან თანამშრომლობა წყლის ხელმისაწვდომობის შესახებ უფრო სრული მონაცემების რეგულარულად მისაწოდებლად;
- 2017 წლიდან – სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან ნახშირბადის გაფრქვევის წლიური შეფასებების გასაუმჯობესებლად;
- 2018 წელს – ძირითადი გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების მაჩვენებლებისა და დროითი მწკრივების მონაცემთა ბაზის შექმნა.

2018 წლის შემდგომი პერიოდისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია დეტალური სამუშაო გეგმის ჩამოყალიბება, თუმცა მოსალოდნელია, რომ ეს პერიოდი გამოყენებული იქნება პირველი სამი წლის განმავლობაში წამოწყებული საქმიანობის გასაგრძელებლად და ახალი ქმედებების დასაგეგმად. აგრეთვე, მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება სტატისტიკურ მონაცემებზე ახალ მოთხოვნებზე რეაგირება და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. 2019-2020 წლებისთვის შემუშავდება უფრო დეტალური გეგმები, დაგეგმილი შუალედური ანგარიშის ფარგლებში.

4.3.3. ინვესტირება ადამიანურ რესურსებში

სამივე უწყებაში ამჟამად სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკაზე მომუშავე პირთა რაოდენობა ცხრილ 1-შია ნაჩვენები. იქვე მოცემულია, როგორ შეიცვლება ეს რაოდენობები სტრატეგიული გეგმის განხორციელების პერიოდში.

2015 წლის მაჩვენებლები საბაზისო სიტუაციას ასახავს: 15 შტატის თანამშრომელი საქსტატში და 2 სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ხოლო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში - არცერთი (იგი დაქვემდებარებული სააგენტოების თანამშრომლებს ეყრდნობა). მხოლოდ საქსტატს ჰყავს სავსე პერსონალი, რადგან სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები არ ატარებენ გამოკვლევებს და რეგიონში არსებული თანამშრომლები მონაცემებს არ აგროვებენ (თუ არ ჩავთვლით სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს, რომელთა თანამშრომლები ახლა იწყებენ სავსე სამუშაოებს და შესაბამის ტრენინგებს გადიან).

სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში სოფლის მეურნეობის, გარემოს და სოფლის სტატისტიკაზე მომუშავე თანამშრომლების რაოდენობის 17-დან 37-მდე გაზრდაა მოსალოდნელი. აქედან 21 საქსტატში იქნება დასაქმებული, 12 - სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ხოლო 4 -

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, სადაც ისინი მცირე სტატისტიკურ ერთეულს შექმნიან. აგრეთვე განსაზღვრულია საქსტატის საველე პერსონალის რაოდენობის 70%-ით გაზრდა, რაც სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ზომის გაზრდითაა განპირობებული.

ცხრილი 1. სამი უწყების სტატისტიკოს თანამშრომელთა საპროგნოზო რაოდენობა (კაცი)

	2015	2016	2017	2018	2019	2020
საქსტატი– თანამშრომელი	15	18	19	20	21	21
საქსტატი– საველე პერსონალი	230	390	390	390	390	390
სოფ. მეურნ. სამ.– თანამშრომელი	2	6	10	10	12	12
სოფ.მეურნ.სამ.– საველე პერსონალი ¹	59	70	80	90	100	108
გარემ.სამ.– თანამშრომელი	0	2	3	3	4	4

შენიშვნა:

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საველე პერსონალი უკვე დასაქმებულები არიან საკონსულტაციო სამსახურებში და ყველა მუნიციპალიტეტში არიან წარმოდგენილნი. მონაცემთა შეგროვებაზე თითოეულ მუნიციპალიტეტში ერთი ან ორი ადამიანი იმუშავენ და მათ ყოველწლიურად დასჭირდებათ ტრენინგები.

გეგმის მოქმედების პერიოდში ტრენინგი ყველა თანამშრომელს დასჭირდება. ნავარაუდებია, რომ თითოეულ საველე პერსონალს წელიწადში 7 დღე ტრენინგი ჩაუტარდება. პროფესიონალი თანამშრომლებისთვის, რომლებიც თანამდებობაზე 2 წელზე მეტხანს მუშაობენ, მოიაზრება, რომ მათი სამუშაო დროის 5% (12 დღე წელიწადში) პროფესიულ განვითარებას უნდა დაეთმოს. ახალდაქირავებულ თანამშრომლებს მეტი ტრენინგი დასჭირდებათ: სამუშაო დროის 25% პირველი წლის და 20% მეორე წლის განმავლობაში. ეს პარამეტრები გათვალისწინებულია ტრენინგების სქემატურ გეგმაში, როგორც ეს მე-2 ცხრილშია ნაჩვენები.

ცხრილი 2. ტრენინგების სქემატური გეგმა (კაც-დღეების რაოდენობა)

	2016	2017	2018	2019	2020
საქსტატი – თანამშრომელი	360	384	324	336	288
საქსტატი – საველე პერსონალი	2,730	2,730	2,730	2,730	2,730
სოფ.მეურნ.სამ. – თანამშრომელი	264	456	264	240	216
სოფ.მეურნ.სამ. – საველე პერსონალი	490	560	630	700	756
გარემ.სამ. – თანამშრომელი	120	156	72	96	84

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტრენინგები სხვადასხვა ფორმატში ჩატარდება, მათ შორის:

- ტრენინგები დაქირავებული თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული მისაღები ტრენინგების ჩათვლით, რომლებსაც საქსტატის გამოცდილი თანამშრომლები ჩაატარებენ;
- მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებული ადგილობრივი სასწავლო კურსები;
- მოკლევადიანი რეგიონული კურსები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ევროკავშირის ეგიდით ტარდება;
- მოკლევადიანი საერთაშორისო კურსები.

4.3.4. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მოცვის, ხარისხისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენების უზარმაზარი პოტენციალი არსებობს და ეს ჯერ კიდევ იმ ტექნოლოგიური სიახლეების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც მომავალი ხუთი წლის განმავლობაში შემოვა. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა, განსაკუთრებით კი კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამების განვითარებამ, სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში რევოლუცია მოახდინა, და არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ განვითარების არსებული ტემპი შენელდეს. პირიქით, ტემპი სულ უფრო მატულობს.

რა თქმა უნდა, ამჟამად ეროვნული სტატისტიკური სისტემების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების უმეტესობა (თუ ყველა არა) კონკრეტულად სტატისტიკური მიზნებისთვის არ შექმნილა. როგორც წესი, ისინი კერძო ბიზნესის ან მოსახლეობის მიერ გამოყენებისთვის იყო განკუთვნილი. დიდი ალბათობით, სიტუაცია შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში ისეთივე იქნება, როგორც წინა ოცი წლის განმავლობაში იყო. შესაბამისად, სტატისტიკური უწყებებისთვის, განსაკუთრებით კი საქსტატისთვის, მნიშვნელოვანი იქნება ტექნოლოგიური სამყაროსთვის თვალყურის დევნება და იმის შეფასება, თუ რამდენად გამოსადეგი იქნება ახალი გამოგონება სტატისტიკური პროცესისა და სამუშაოსთვის. რადგან ყველა ეროვნულ სტატისტიკურ სისტემას არ შეუძლია ახალი ტექნოლოგიები ერთდროულად დანერგოს, მნიშვნელოვანი იქნება სხვა ქვეყნების სამსახურებში, განსაკუთრებით კი ESS-ში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში მუდმივად ყოფნა.

ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, რა ახალი ინოვაციები იქნება დანერგილი მომავალში, უნდა ველოდოთ, რომ მათი ზეგავლენა სტატისტიკური პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე საგრძნობი იქნება. ზოგადად, შესაძლებელია შემდეგი მიმართულებების ინოვაციებზე ფიქრი:

- ინოვაციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მონაცემთა შეგროვების მომზადების ფაზებზე. მაგალითად, მონაცემთა შეგროვების პროცესში ტაბლეტების გამოყენება ან ნაბეჭდი კითხვარების ონლაინ ფორმებით ჩანაცვლება, რომელთა შევსებას რესპონდენტები თავად შეძლებენ;
- ინოვაციები, რომლებიც ამცირებენ მონაცემთა მოპოვების, შეცდომების აღმოჩენის, მონაცემთა რედაქტირებისა და დამუშავების დროს, რითაც ამცირებენ ძირითადი შედეგების გამოქვეყნების ვადებს;
- უწყებებს შორის მონაცემთა ელექტრონული გადაცემის გაუმჯობესება შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით;
- მონაცემთა დაცულობის გაუმჯობესება სტატისტიკური პროცესების ყველა ეტაპზე;
- მონაცემთა დასამუშავებელი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული დიდი მოცულობის მონაცემების შედარებისა და კომბინირების საშუალებას იძლევა;
- პროგრამული უზრუნველყოფა და აღჭურვილობა, რომელიც ავითარებს და ხელს უწყობს სტატისტიკურ მონაცემებზე მომხმარებლების წვდომას და აძლევს მათ საშუალებას, მოძებნონ სასურველი ინფორმაცია მონაცემთა ისეთ ბაზაში, რომლებიც საჭიროებენ კონფიდენციალურობის დაცვისა და შედეგების სანდოობის უზრუნველყოფას;

- სტატისტიკური მონაცემების გავრცელების ახალი გზების პოვნა განსაკუთრებით ისეთი მომხმარებლებისთვის, რომელთაც მონაცემებთან მუშაობის დიდი გამოცდილება არ გააჩნიათ.

ამ მიმართულებით განსახორციელებელი ძირითადი ქმედებები (იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რა ტექნოლოგიები იქნება ხელმისაწვდომი სამი-ხუთი წლის შემდეგ) მოიცავენ:

- საქსტატი:
 - 2017 წელს სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევებისთვის CAPI-ს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევებისათვის;
 - ტაბლეტების შესყიდვა;
 - საჭიროების შემთხვევაში, ორი-სამი წლის შემდეგ ტაბლეტების განახლება;
 - CAPI-ის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა სხვა გამოკვლევებისთვის;
 - მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება;
 - მონაცემთა დაცვის პროცესებისა და აღჭურვილობის გაუმჯობესება;
 - პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა არქივის სამართავად და სასოფლო-სამეურნეო აღწერიდან და სხვა გამოკვლევებიდან მიღებულ ანონიმურ მონაცემებზე წვდომის უზრუნველსაყოფად;
 - პროგრამული უზრუნველყოფა საქსტატის ვებ-გვერდის განსახლებლად და ღია მონაცემებზე დაშვებისა და გამოყენების მხარდასაჭერად;
 - მონაცემთა უსაფრთხოების პროცესებისა და აღჭურვილობის გაუმჯობესება.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
 - 2017 წელს CAPI-ის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, მოსავლიანობის გაზომვისა და მოსავლის შეფასების პროგნოზირების გამოკვლევებისთვის;
 - ტაბლეტების შესყიდვა;
 - საჭიროების შემთხვევაში, ორი-სამი წლის შემდეგ ტაბლეტების განახლება;
 - 2016-2017 წლებში ტაბლეტების გამოყენება მოსავლიანობის გაზომვისა და მოსავლის პროგნოზირებისათვის;
 - CAPI-ის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა სხვა გამოკვლევებისთვის;
 - ფერმერთა რეგისტრისა და მსგავსი მონაცემთა ბაზების სამართავად პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული აღჭურვილობის მომზადება;
 - კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება საქსტატთან მონაცემთა გაცვლისთვის და მონაცემთა ბაზების უსაფრთხოების გასამდიერებლად;
 - კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება სამინისტროს ცენტრალურ ოფისსა და მუნიციპალიტეტებში;
 - თითოეულ მუნიციპალიტეტში ფასების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით კომპიუტერული აღჭურვილობის შესყიდვა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;
 - ფასების სტატისტიკისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის გავრცელებისთვის შესაბამისი აპლიკაციების შექმნა;
 - GIS-ის შემუშავებისა და დანერგვის მხარდაჭერისთვის საჭირო კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება.

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო:
 - კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება ტყის რეგისტრისა და მსგავსი მონაცემთა ბაზების სამართავად;
 - კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება საქსტატთან მონაცემთა გაცვლისთვის და მონაცემთა ბაზის უსაფრთხოების გასაძლიერებლად;
 - GIS-ის შემუშავებისა და დანერგვისთვის კომპიუტერული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება.

4.3.5. სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და რეგისტრების შექმნა

სტატისტიკური ინფრასტრუქტურა კავშირშია იმ სტატისტიკურ საქმიანობებთან, რომლებიც უშუალოდ მონაცემების წარმოებას არ უკავშირდება, მაგრამ აუცილებელია სხვადასხვა სტატისტიკური პროცესების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად. ასეთი საქმიანობები მოიცავს რეგისტრებს, კლასიფიკაციებს, მონაცემთა ბაზების სტრუქტურებს, შერჩევის ჩარჩოსა და GIS-ის დიზაინს. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ინფრასტრუქტურას, მასაც სჭირდება შექმნა და დროდადრო განახლება, რათა სასარგებლო და გამოყენებად მდგომარეობაში იქნას შენარჩუნებული.

სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდისთვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ქმედებები:

- საქსტატი:
 - სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის შერჩევის ბაზის განახლება, ძირითადად 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების საფუძველზე. მოსალოდნელია, რომ დროთა განმავლობაში შერჩევის ბაზა განახლდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული ფერმერთა რეგისტრისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგების სხვა რეგისტრების საფუძველზე;
 - მეურნეობების კლასიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტატნდარტებთან და მომხმარებელთა საჭიროებებთან;
 - 2014 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერებში გამოყენებული GIS-ის განვითარება და გაფართოება ფიზიკური მახასიათებლებისა და ინფრასტრუქტურის ჩართვის მიზნით;
 - მონაცემთა არქივის შექმნა აღწერებიდან და გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემებისა და მეტა-მონაცემების შენახვის მიზნით. ანონიმურ მონაცემთა ბაზებთან მკვლევარების დაშვების პროცედურებისა და პოლიტიკის შემუშავება.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
 - სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემებისთვის მონაცემთა ბაზის სტრუქტურის შემუშავება დაშვების სათანადო კონტროლითა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომებით;
 - ფერმერთა და მორწყული მიწების რეგისტრის შექმნა.
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო:
 - ტყით დაფარული ფართობის რეგისტრის შექმნა;

- სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული მონაცემებისთვის მონაცემთა ბაზის სტრუქტურის შემუშავება დაშვების სათანადო კონტროლით და უსაფრთხოების შესაბამისი ზომებით.

თავი 5. შესრულების ინდიკატორები

სტრატეგიას გააჩნია როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიის მე-10 თავი აღწერს სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, რომელსაც თან ახლავს შესრულების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები. სამოქმედო გეგმაში, თითოეულ ქმედებას ახლავს დეტალური შესრულების რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი ინდიკატორი. ძირითადი ინდიკატორების ჩამონათვალი შემდეგია:

- შექმნილი ტექნიკური სამუშაო ჯგუფი;
- მომზადებული პროგრამა;
- ჩატარებული ტრენინგების და მათი მონაწილეების რაოდენობა;
- განსაზღვრული და დამტკიცებული შერჩეული პრიორიტეტული ინდიკატორებისა და მონაცემთა მწკრივების ტექნიკური მახასიათებლები და სტანდარტები;
- გამოქვეყნებული/ხელმძღვანელობასთან წარდგენილი ინფორმაცია/პრეს-რელიზი/შედეგები/ანგარიში;
- განახლებული/გაზრდილი შერჩევის ბაზა;
- შესრულებული მოსამზადებელი სამუშაოები;
- დანერგილი პერონალური ინტერვიუება ტაბლეტების მეშვეობით;
- შექმნილი რეგისტრები;
- შექმნილი დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეული;
- შექმნილი მონაცემთა ეროვნული პორტალი/საინფორმაციო სისტემა/აპლიკაციები/ მონაცემთა ბაზები/მონაცემთა არქივი;
- განახლებული გეოგრაფიული რუკები;
- შექმნილი ინტეგრირებული გეო-რეფერირებული მონაცემთა ბაზა;
- შექმნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემა;
- თანამშრომლების რაოდენობა;
- შესყიდული ტაბლეტების რაოდენობა;
- პროგრამული უზრუნველყოფის/ტექნიკური აღჭურვილობის არსებობა/განახლება/რაოდენობა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მეურნეობების კლასიფიკაციის არსებობა შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები.

თავი 6. სტრატეგიის განხორციელების საპროგნოზო ღირებულება

1.1. განხორციელების ღირებულება

მე-3 და მე-4 ცხრილებში მოცემულია SPAERS-ის განხორციელების სავარაუდო მთლიანი ხარჯი, წლიური 10%-იანი გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და 5%-იანი წლიური ინფლაციის გათვალისწინებით. ეს წინასწარი მონაცემებია, რომლებიც სხვადასხვა ერთეულის ღირებულებას და მთლიანად პროგრამის წლიდან წლამდე პროგრესის პროგნოზს ეფუძნება. უფრო დეტალურად ეს საკითხი დანართ 5-შია მოცემული.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ხარჯების ყველაზე მსხვილი კომპონენტი მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი მონაცემების დამუშავებას უკავშირდება, რომლის ყველაზე ძვირ ცალკეულ კომპონენტს ყოველწლიურად ჩასატარებელი სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ხუთრაუნდიანი პროცესი წარმოადგენს. უშუალოდ კოორდინაციისა და მართვის გაძლიერებასა და სტატისტიკური ინფრასტრუქტურის შექმნისთვის პირდაპირი ხარჯები გამოყოფილი არ არის. მოსალოდნელია, რომ ამ ორი მიმართულებით არ იქნება საჭირო დამატებითი რესურსის გამოყოფა, გარდა ადამიანურ რესურსებსა და საინფორმაციო და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციებისა.

ცხრილი 3. SPAERS-ის განხორციელების მოსალოდნელი ღირებულება საქმიანობის ტიპების მიხედვით ('000 ლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
თანამშრომლების ხელფასები	390	480	495	555	555	2,475
მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება	891	936	1,029	1,044	1,048	4,949
ადამიანური რესურსების განვითარება	684	793	667	680	654	3,478
ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის გაუმჯობესება	258	54	59	277	67	715
სხვა ხარჯები	15	18	20	20	23	95
გაუთვალისწინებელი ხარჯები	224	228	227	258	235	1,171
სულ, 2016 წლის ფასებში	2,462	2,509	2,497	2,834	2,581	12,883
სულ, ინფლაციის გათვალისწინებით	2,462	2,635	2,753	3,281	3,137	14,268

ცხრილი 4. SPAERS-ის განხორციელების მოსალოდნელი ღირებულება უწყებების მიხედვით ('000 ლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
საქსტატი	1,820	1,646	1,693	1,925	1,696	8,781
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	331	512	486	534	531	2,394

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	87	123	91	117	120	538
გაუთვალისწინებელი ხარჯები	224	228	227	258	235	1,171
სულ, 2016 წლის ფასებში	2,462	2,509	2,497	2,834	2,581	12,883
სულ, ინფლაციის გათვალისწინებით	2,462	2,635	2,753	3,281	3,137	14,268

შეფასებების მიხედვით, SPAERS-ის განხორციელების სრული ღირებულება, ხუთი წლის (2016-2020) განმავლობაში, ინფლაციის გათვალისწინებით, 14,3 მილიონი ლარია, რაც დღევანდელი გაცვლითი კურსის გათვალისწინებით, დაახლოებით 5,9 მილიონ აშშ დოლარს უდრის. ამ თანხის დაახლოებით 29% სასოფლო მეურნეობათა შერჩევით გამოკვლევაზე მოდის. ფაქტებზე დაყრდნობით, საქართველოში გამოკვლევის ჩატარების ერთეულის დანახარჯი განვითარების მსგავს საფეხურზე მყოფ სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია, თუმცა, პირდაპირი შედარებები შესაძლოა მართებული არ იყოს, რადგან დანახარჯების გამოთვლისას ყოველთვის ერთი და იგივე საბაზისო მონაცემები არ გამოიყენება.

6.2. დაფინანსების შესაძლო სტრატეგია

SPAERS-ის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები რამდენიმე წყაროდან დაიფარება. პირველ რიგში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტი დაფარავს რეგულარულ ხარჯებს, კერძოდ, ხელფასებსა და მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ ძირითად პროცესებს. მე-5 და მე-6 ცხრილებში ნაჩვენებია სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქსტატისთვის და სამინისტროების სტატისტიკური საქმიანობისთვის თანხების სავარაუდო განაწილება და სტრატეგიული გეგმის დარჩენილი პერიოდისთვის გაკეთებული შესაძლო პროგნოზი.

ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკისთვის თანხების სავარაუდო განაწილება საქმიანობის ტიპების მიხედვით ('000 ლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
თანამშრომლების ხელფასები	390	480	495	555	555	2,475
მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება	863	899	1,003	1,022	1,048	4,835
სულ	1,253	1,379	1,498	1,577	1,603	7,310
პროცენტული ცვლილება		10%	9%	5%	2%	6%

ცხრილი 6. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკისთვის თანხების სავარაუდო განაწილება უწყებების მიხედვით ('000 ლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
საქსტატი	1,102	1,125	1,187	1,202	1,202	5,818
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	118	206	256	305	331	1,215
გარემოსა და ბუნებრივი	32	49	55	70	70	276

რესურსების დაცვის სამინისტრო						
სულ	1,253	1,379	1,498	1,577	1,603	7,310
პროცენტული ცვლილება		10%	9%	5%	2%	6%

2017 წლის და შემდგომი წლების ბიუჯეტები ეფუძნება დაშვებას, რომ თანამშრომლების სრული ხარჯები და მონაცემებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სტატისტიკური საქმიანობის ზრდადი წილიც სრულად არის დაფარული. ყველაზე დიდი ზრდა 2017 წელს არის მოსალოდნელი.

დაფინანსების დანაკლისი (საბიუჯეტო დაფინანსების გარეთ დარჩენილი ხარჯი) მე-7 ცხრილშია ნაჩვენები. ამ ხარჯების უმეტესობა სამი უწყების შესაძლებლობების გაძლიერებაზე მოდის, რათა მათ შეძლონ ისეთი ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებზე დაფუძნებული სტატისტიკის წარმოება, რომელიც მთავრობისა და სხვა მომხმარებლების საჭიროებებს დააკმაყოფილებს. აღნიშნული ხარჯები მოიცავს სტატისტიკოსი თანამშრომლების ტრენინგებს (საველე პერსონალის ტრენინგები მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პუნქტშია ჩართული) და კომპიუტერული და სხვა აღჭურვილობის გაუმჯობესება-განახლებას.

ცხრილი 7. დანაკლისი SPAERS-ის დაფინანსებაში

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
დაფინანსების დანაკლისი ('000 ლარი)	1,209	1,255	1,256	1,704	1,534	6,958
დაფინანსების დანაკლისი ('000 აშშ დოლარი)	504	523	523	710	639	2,899

დაფინანსების სრული გაანგარიშებული დანაკლისი ხუთწლიან პერიოდში (2016-2020 წწ) 6.96 მილიონ ლარს, ანუ 2.90 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ დაფინანსების მოპოვება პოტენციურად შესაძლებელია არსებული პროგრამებიდან და რესურსებიდან, განსაკუთრებით ENPARD I და II-დან.

გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს სტატისტიკურ სისტემას კვლავაც დასჭირდება საერთაშორისო ტექნიკური დახმარება. ამასთან დაკავშირებული ხარჯები, საჭიროებების ამჟამად არსებული დონეების გათვალისწინებით, მე-8 ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 8. SPAERS-ის განხორციელების პერიოდში საჭირო საერთაშორისო ტექნიკური დახმარების ხარჯები

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
ტექნიკური დახმარება (კაც-დღეები)	60	70	100	70	70	370
ტექნიკური დახმარება ('000 ლარი)	159	186	265	186	186	981

**ტექნიკური დახმარება
(‘000 აშშ დოლარი)**

66 77 110 77 77 409

საჭიროებების ამჟამად არსებული დონის გათვალისწინებით, ტექნიკური დახმარების სრული ღირებულება დაახლოებით 0.98 მილიონი ლარი, ანუ 0.41 მილიონი აშშ დოლარი იქნება. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელია, ეს თანხა დაიფაროს არსებული პროგრამებით, განსაკუთრებით კი ENPARD-ისა და USDA-ის ტექნიკური დახმარების პროგრამებით.

თავი 7. განხორციელებისა და მართვის მექანიზმები

თითოეული განმახორციელებელი უწყების დონეზე, SPAERS-ის განხორციელების მართვაზე პასუხისმგებლობა უკვე არსებულ მმართველ სტრუქტურებს დაეკისრება. საქსტატი შეინარჩუნებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის კოორდინატორის ფუნქციას.

რეკომენდებულია SPAERS-ის მომზადების პროცესის მართვისა და მონიტორინგის მიზნით შექმნილი მმართველი კომიტეტის შენარჩუნება. კომიტეტი მეტ-ნაკლებად იგივე შემადგენლობას შეინარჩუნებს და შეიკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად. ისევე, როგორც ადრე, მასში შევლენ სამი განმახორციელებელი უწყების უმაღლესი თანამდებობის პირები, ხოლო მისი მდივანი იქნება საქსტატის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი. დანართში 3 მოცემულია მმართველი კომიტეტის ტექნიკური დავალების პროექტი.

მნიშვნელოვანი იქნება, მმართველ კომიტეტსა და საქსტატის საბჭოს შორის ურთიერთობის განსაზღვრა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონთან სრულ შესაბამისობაში. მმართველი კომიტეტი განხორციელების პროცესის მონიტორინგსა და თვალყურის დევნებაზე იქნება პასუხისმგებელი.

გარდა ამისა, მმართველ კომიტეტს დროდადრო შეეძლება, სპეციალური ტექნიკური სამუშაო ჯგუფების შექმნა კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. ამ ჯგუფების ზოგადი ტექნიკური დავალების პროექტი მოცემულია დანართში 4.

თავი 8. რისკების შეფასება

სტრატეგიის განვითარების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო რისკები შეიძლება იყოს ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და თანამშრომლების კომპეტენციასთან დაკავშირებული.

ხარისხიანი ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას მუდმივი და მზარდი ფინანსური მხარდაჭერა და ადამიანური რესურსები სჭირდება. მთავრობის მიერ განხორციელებულ სხვა საქმიანობასთან შედარებით, მას არ სჭირდება დიდი რაოდენობის ფინანსური და ადამიანური რესურსები, მაგრამ ოფიციალურ სტატისტიკაზე მზარდი მოთხოვნა და სწრაფად ცვალებადი მეთოდოლოგიური თუ ტექნიკური ინფრასტრუქტურა მუდმივ განახლებას საჭიროებს.

შესაძლო რისკების შესახებ საუბარია დანართში 2, სადაც მოცემულია სოფლის მეურნეობის, გარემოსა და სოფლის სტატისტიკის SWOT ანალიზი.

სტრატეგიის განხორციელებას შემდეგი შინაარსის რისკები შეიძლება ახლავდეს თან:

- მთავრობის ფისკალური ცვლილებების და დაფინანსების შემცირების რისკი;
- რისკები, რომლებიც უკავშირდება რესპონდენტების გადალას და მათი მხრიდან გამოუპასუხებლობას, რამაც შესაძლოა ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი მნიშვნელოვნად დააზიანოს;
- ასევე მნიშვნელოვანია სტატისტიკის მწარმოებელი უწყებების თანამშრომლების კომპეტენციასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება. რადგან ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის და პრაქტიკის სწორად და ეფექტიანად გამოყენებას სჭირდება კვალიფიციური და კომპეტენტური თანამშრომლები. ეს განსაკუთრებით ეხება ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას;
- ასევე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია სხვადასხვა რეგისტრებისა და სიების არარსებობა და მათი განუახლებლობა.

თავი 9. ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება

გრძელვადიანი ხედვა სტატისტიკური სისტემის უწყვეტ განვითარებას და გაუმჯობესებას გულისხმობს. მნიშვნელოვანია ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი უწყებების, ისევე, როგორც თავად სტატისტიკური სისტემის ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა მომხმარებლებისთვის, მათ შორის, მთავრობისა და დონორებისთვის, რომლებიც შესაბამის საქმიანობას აფინანსებენ.

მონიტორინგის მიზანია, SPAERS-ის მიერ გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესის გაანალიზება, გარკვეული პერიოდულობით. მონიტორინგი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს კონკრეტული ღონისძიების განხორციელების შემაფერხებელი მიზეზები.

ყოველწლიურად საქსტატი ამზადებს და აქვეყნებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. შესაძლოა, SPAERS-ის მონიტორინგი და ანგარიშგება საქსტატის ამ ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი გახდეს და მისი მეშვეობით გავრცელდეს ინფორმაცია SPAERS-ის განხორციელებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ გამოქვეყნდება სამივე განმახორციელებელი უწყების ვებ-გვერდზე.

მონიტორინგის პროცესი დეტალურად მე-10 თავშია აღწერილი, სადაც მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება საქმიანობის განხორციელება და პროგრესის გაზომვა. პროგრესი შეფასდება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი. 2018 წელს მოიაზრება ოფიციალური შუალედური შეფასების ჩატარება.

თავი 10. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა

კოორდინაცია და მართვა				
ქმედება	პასუხისმგებელი უწყება	განხორციელების პერიოდი		გაზომვის ინდიკატორი
		დაწყება	დამთავრება	
ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის მიზანია, შეარჩიოს პრიორიტეტული ინდიკატორები/მონაცემთა მწკრივები და შეაფასოს მათი შესაბამისობა ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსში გაწერილ ხარისხის კრიტერიუმებთან, რომლებიც შეიძლება ოფიციალურ სტატისტიკად ჩაითვალოს	საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2016	შექმნილი ტექნიკური სამუშაო ჯგუფი
ტრენინგის პროგრამის მომზადება სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების სტატისტიკოსებისთვის	საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2016	მომზადებული ტრენინგის პროგრამა
სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების ხარისხის	საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2017	მომზადებული და შეთანხმებული პროგრამა

გაუმჯობესების პროგრამის მომზადება და შეთანხმება				
სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების სტატისტიკოსების ტრენინგის ჩატარება	საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2017	ჩატარებული ტრენინგების და მათი მონაწილეების რაოდენობა
სოფლის მეურნეობის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების პრიორიტეტული ინდიკატორებისა და მონაცემთა მწკრივების ტექნიკური მახასიათებლებისა და სტანდარტების განსაზღვრა	საქსტატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სექტემბერი, 2017	დეკემბერი, 2017	განსაზღვრული და დამტკიცებული შერჩეული პრიორიტეტული ინდიკატორებისა და მონაცემთა მწკრივების ტექნიკური მახასიათებლები და სტანდარტები
SPAERS-ის განხორციელების შუალედური მიმოხილვა	FAO, საქსტატი	სექტემბერი, 2018	დეკემბერი, 2018	გამოქვეყნებული ანგარიში
მონაცემებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება				
შერჩევის ბაზის განახლება (ძირითადად 2014 წლის სასოფლო- სამეურნეო აღწერის საფუძველზე)	საქსტატი	იანვარი, 2016	იანვარი, 2016	განახლებული შერჩევის ბაზა
შერჩევის ზომის გაზრდა 5 000-დან 12 000-მდე	საქსტატი	იანვარი, 2016	იანვარი, 2016	გაზრდილი შერჩევის ზომა
2014 წლის სასოფლო- სამეურნეო აღწერის ძირითადი	საქსტატი	აპრილი, 2016	აპრილი, 2016	საქსტატის ვებ- გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია,

შედეგების გამოქვეყნება				გავრცელებული პრეს-რელიზი
მონაცემთა არქივის შექმნა, რომელშიც შევა სოფლის მეურნეობის კვლევებისა და აღწერების მონაცემები დაწყებული 2014 წლის სასოფლო- სამეურნეო აღწერიდან. ასევე მკვლევარებისთვის შემდგომი ანალიზისთვის საჭირო ანონიმური მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	საქსტატი	აპრილი, 2016	დეკემბერი, 2020	შექმნილი მონაცემთა არქივი
მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება მიკრომონაცემების გავრცელების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სისტემის შესაქმნელად	საქსტატი	აპრილი, 2016	დეკემბერი, 2016	შესრულებული მოსამზადებელი სამუშაოები
წყალმომარაგების კომპანიების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება, წყლის მიწოდებისა და დანაკარგების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით	საქსტატი	სექტემბერი, 2016	დეკემბერი, 2016	მიღებული საპილოტე გამოკვლევის შედეგები
კომპიუტერის მეშვეობით (ტაბლეტები) პერსონალური ინტერვიუების (CAPI) საველე	საქსტატი	ოქტომბერი, 2017	დეკემბერი, 2017	გაანალიზებული საველე ტესტირების შედეგები

ტესტირება				
აკვაკულტურების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება	საქსტატი	აპრილი, 2017	დეკემბერი, 2017	საპილოტე გამოკვლევიდან მიღებული შედეგები
კომპიუტერის მეშვეობით (ტაბლეტები) პერსონალური ინტერვიუების (CAPI) დანერგვა	საქსტატი	იანვარი, 2018	დეკემბერი, 2018	დანერგილი პერსონალური ინტერვიუების ტაბლეტების მეშვეობით
ფერმების მთლიანი მარჟის საპილოტე გამოკვლევის ჩატარება	საქსტატი	აპრილი, 2018	დეკემბერი, 2018	საპილოტე გამოკვლევიდან მიღებული შედეგები
სასათბურე მეურნეობების საპილოტე გამოკვლევის ჩატარება	საქსტატი	აპრილი, 2018	დეკემბერი, 2018	საპილოტე გამოკვლევიდან მიღებული შედეგები
4 კულტურისთვის მოსავლის აღების შემდგომ მოსავლიანობის განსაზღვრის და ასევე პროგნოზირების სისტემის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2016	გამოკვლევის მიღებული შედეგები
ფერმერთა რეგისტრის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2016	საქსტატთან გაზიარებული ფერმერთა რეგისტრი
სოფლის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად საჭირო მონაცემების განსაზღვრა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აპრილი, 2016	დეკემბერი, 2016	საქსტატთან გაზიარებული მაჩვენებლების ჩამონათვალი
მუნიციპალიტეტები ს დონეზე საბაზრო ფასების საინფორმაციო	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2016	შესრულებული მოსამზადებელი სამუშაოები

სისტემის შესაქმნელად მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება				
სამინისტროში დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეულის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	შექმნილი დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეული
მონაცემთა ეროვნული პორტალის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	შექმნილი მონაცემთა ეროვნული პორტალი
მუნიციპალიტეტები ს დონეზე საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	შექმნილი საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემა
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აპრილი, 2017	დეკემბერი, 2017	შექმნილი მონაცემთა ბაზა და გავრცელებული შედეგები
საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის ნიადაგის გეოგრაფიული რუკების განახლების დასრულება	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აპრილი, 2017	დეკემბერი, 2017	განახლებული გეოგრაფიული რუკები
მორწყული და აღდგენილი მიწების რეგისტრის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აპრილი, 2017	დეკემბერი, 2017	მორწყული და აღდგენილი მიწების შექმნილი რეგისტრი
სოფლის განვითარების სტრატეგიის პროგრესის მონიტორინგის სისტემის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აპრილი, 2017	დეკემბერი, 2017	სამინისტროს ხელმძღვანელობას თან წარდგენილი და საქსტატთან გაზიარებული ანგარიში
ინტეგრირებული გეო-	სოფლის მეურნეობის	ივნისი, 2017	დეკემბერი, 2017	შექმნილი ინტეგრირებულ

რეფერირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მიზნით	სამინისტრო			ი გეო-რეფერირებული მონაცემთა ბაზა
პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემის შექმნა	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2018	დეკემბერი, 2018	შექმნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემა
სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის მონაცემთა გამოყენება სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან ნახშირბადის გაფრქვევის წლიური შეფასებების გასაუმჯობესებლად	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქსტატი	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	განახლებული მეთოდოლოგიით მიღებული მონაცემები
ტყეების სრული რეგისტრისა და ყველა ძირითადი ტყიანი არეალის მართვის გეგმების შექმნა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2018	დეკემბერი, 2018	შექმნილი ტყეების სრული რეგისტრი და ყველა ძირითადი ტყიანი არეალის მართვის გეგმები
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების ძირითადი მაჩვენებლებისა და დროითი მწკრივების მონაცემთა ბაზის შექმნა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2018	დეკემბერი, 2018	შექმნილი მონაცემთა ბაზა

ინვესტირება ადამიანურ რესურსებში				
შტატიანი თანამშრომლების რაოდენობის ზრდა (2016-ში 15-დან 18-მდე, 2017-ში 18-დან 19-მდე, 2018-ში 19-დან 20-მდე, 2019-ში 20-დან 21-მდე, ხოლო 2020-ში რჩება 21)	საქსტატი	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2020	თანამშრომლების რაოდენობა
საველე პერსონალის რაოდენობის ზრდა (2016-ში 230-დან 390-მდე და ამის შემდეგ ამ დონეზე რჩება)	საქსტატი	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2020	საველე პერსონალის რაოდენობა
შტატიანი თანამშრომლების რაოდენობის ზრდა (2016-ში 2-დან 6-მდე, 2017-სთვის 10-მდე, 2019-სთვის 12-მდე)	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2020	თანამშრომლების რაოდენობა
საველე პერსონალის რაოდენობის ზრდა (2016-ში 59-დან 70-მდე, 2017-ში 70-დან 80-მდე, 2018-ში 80-დან 90-მდე, 2019-ში 90-დან 100-მდე, ხოლო 2020-ში 108-მდე)	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2020	საველე პერსონალის რაოდენობა
დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეულის შექმნა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2017	დეკემბერი, 2017	შექმნილი დამოუკიდებელი სტატისტიკური სტრუქტურული ერთეული
სტატისტიკოსის თანამდებობის შექმნა და თანამშრომლების რაოდენობის ზრდა (2016-ში 2 ადგილი, 2017-ისთვის 3 და	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	იანვარი, 2016	დეკემბერი, 2020	თანამშრომლების რაოდენობა

2019-ისთვის 4)				
